


Past and Future Heritage in the Pipelines Corridor

Azerbaijan Georgia Turkey

კულტურული მემკვიდრეობის
ძეგლები მილსადენების დერეფანში,
წარსული და მომავალი
აზერბაიჯანი საქართველო თურქეთი



Paul Michael Taylor
Christopher R. Polglase
Najaf Museyibli
Jared M. Koller
Troy A. Johnson

პოლ მაიკლ ტეილორი
ქრისტოფერ რ. ფოლგლესი
ნაჯაფ მუსეიბლი
ჯარედ მ. კოლერი
თროი ა. ჯონსონი

Past and Future Heritage
in the Pipelines Corridor
Azerbaijan Georgia Turkey

კულტურული მემკვიდრეობის
ძეგლები მილსადენების დერეფანში,
წარსული და მომავალი
აზერბაიჯანი, საქართველო, თურქეთი



Past and Future Heritage
in the Pipelines Corridor
Azerbaijan Georgia Turkey

კულტურული მემკვიდრეობის
ძეგლები მილსადენების დერეფანში,
წარსული და მომავალი
აზერბაიჯანი, საქართველო, თურქეთი

Paul Michael Taylor
Christopher R. Polglase
Najaf Museyibli
Jared M. Koller
Troy A. Johnson

პოლ მაიკლ ტეილორი
ქრისტოფერ რ. ფოლგლესი
ნაჯაფ მუსეიბლი
ჯარედ მ. კოლერი
თროი ა. ჯონსონი



New discoveries from excavations by the Institute of
Archaeology and Ethnography (Baku, Azerbaijan),
the Georgian National Museum (Tbilisi, Georgia),
and Gazi University (Ankara, Turkey)

არქეოლოგიის ინსტიტუტის (ბაქო, აზერბაიჯანი),
საქართველოს ეროვნული მუზეუმისა (თბილისი, საქართველო)
და გაზის უნივერსიტეტის (ანკარა, თურქეთი)
ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები

Asian Cultural History Program
Smithsonian Institution

აზიის კულტურის ისტორიის პროგრამა
სმიტსონის ინსტიტუტი (ვაშინგტონი, აშშ)

This publication is the first product of grant number G-08-BPCS-151448 from BP Exploration Caspian Sea Ltd to the Smithsonian Institution, entitled “Provision of the Cultural Heritage Public Outreach and Capacity Building Programme in the AGT Pipeline Corridor Regions.”

An online publication on this topic with the title “AGT: Ancient Heritage in the BTC-SCP Pipelines Corridor, Azerbaijan - Georgia - Turkey” accompanies this book and may be found at <http://www.agt.si.edu>. Visitors to this website will find archaeological site reports and a more extensive bibliography.

Copyright © 2011, Smithsonian Institution Asian Cultural History Program, Washington, D.C.
Design by KI Graphics, Inc.
This book is simultaneously issued in two bilingual editions: English-Azerbaijani and English-Georgian.
ISBN: English-Azerbaijani: 9780972455749 (softcover); 9780972455763 (hardcover), English-Georgian: 9780972455756 (softcover); 9780972455770 (hardcover).

Second printing (April 2011)

Cataloging-in-Publication Data (U.S.A.)

Past and future heritage in the pipelines corridor : Azerbaijan, Georgia, Turkey = Kulturuli emkvidreobis žeglebi milsadenebis derep`anši, carsuli da momavali : Azerbaijani, Sak`art`velo, T`urk`et`i / Paul Michael Taylor ... [et al.].

p. cm.

English and Georgian.

Includes bibliographical references.

ISBN-13: 978-09724557-5-6 (softcover); 978-09724557-7-0 (hardcover)

1. Excavations (Archaeology)—Azerbaijan. 2. Excavations (Archaeology)—Georgia (Republic). 3. Excavations (Archaeology)—Turkey, Eastern. 4. Azerbaijan—Antiquities. 5. Georgia (Republic)—Antiquities. 6. Turkey, Eastern—Antiquities. 7. Silk road—Antiquities. 8. Petroleum pipelines—Caucasus, South. 9. Petroleum pipelines—Turkey, Eastern. I. Taylor, Paul Michael, 1953- II. National Museum of Natural History (U.S.). Asian Cultural History Program.

DS56.P372 2010

ეს პუბლიკაცია BP Exploration Caspian Sea Ltd- ის მიერ სმიტსონის ინსტიტუტისათვის გაცემული გრანტის (G-08-BPCS-151448) - “საზოგადოებისათვის კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა და აზერბაიჯანი – საქართველო – თურქეთი მილსადენების დერეფნის რეგიონში “შესაძლებლობათა განვითარების” პროგრამის პირველი პროდუქტია.

ამ თემასვე შეეხება ელექტრონული პუბლიკაცია, რომლის სათაურია: “აზერბაიჯანი, საქართველო, თურქეთი - კულტურული მემკვიდრეობა BTC/SCP-ის დერეფანში “. იგი წიგნთან ერთად გამოქვეყნდება და მისი ნახვა შესაძლებელი იქნება საიტზე: <http://www.achp.si.edu/agt>. საიტის მეშვეობით შესაძლებელი იქნება არქეოლოგიური ძეგლების გათხრების ანგარიშებისა და სრული ბიბლიოგრაფიის გაცნობა.

საავტორო უფლება © 2011, სმიტსონის ინსტიტუტის აზიის კულტურის ისტორიის პროგრამა

ეს წიგნი ერთდროულად ინგლისურ – აზერბაიჯანულ და ინგლისურ - ქართულ, ორენოვან გამოცემად გამოდის. ISBN: ინგლისურ – აზერბაიჯანული: 9780972455749 (რბილი ყდა); 9780972455763 (მაგარი გარეკანი), ინგლისურ - ქართული: 9780972455756 (რბილი ყდა); 9780972455770 (მაგარი გარეკანი).



Table of Contents

CHAPTER 1	From the Caspian to the Mediterranean	14
CHAPTER 2	Cultural History at the Crossroads	42
CHAPTER 3	Archaeological Sites along the Pipeline	128
	• Dashbulaq (Azerbaijan)	136
	• Zayamchai / Tovuzchai (Azerbaijan)	140
	• Hasansu Kurgan (Azerbaijan)	150
	• Saphar-Kharaba (Georgia)	152
	• Klde (Georgia)	156
	• Orchosani (Georgia)	162
	• Güllüdere (Turkey)	166
	• Ziyaretsuyu (Turkey)	172
	• Yüceören (Turkey)	176
CHAPTER 4	Nurturing a Shared Heritage	180
	Acknowledgements	212
	Site Report Citations	216
	Recommended Readings	224

სარჩევი

თავი 1	კასპიიდან ხმელთაშუაზღვისპირეთამდე	14
თავი 2	კულტურათა ისტორია გზაჯვარედინზე	42
თავი 3	არქეოლოგიური ძეგლები მილსადენის დერეფანში	128
	• დაშულაქი (აზერბაიჯანი)	136
	• ზაიაძჩაი / თოვუზჩაი (აზერბაიჯანი)	140
	• ჰასანსუს ყორღანი (აზერბაიჯანი)	150
	• საფარ-ხარაბა (საქართველო)	152
	• კლდე (საქართველო)	156
	• ორჭოსანი (საქართველო)	162
	• გულუდერე (თურქეთი)	166
	• ზიარეთსუიუ (თურქეთი)	172
	• იექეიორენი (თურქეთი)	176
თავი 4	გუფრთხილდებით საერთო მემკვიდრეობას	180
	მადლობა გაწეული სამუშაოსათვის	212
	არქეოლოგიური გათხრების ციტირებული ანგარიშები	216
	რეკომენდებული საკითხავი	224





Rock art displaying two human figures interlocking hands at the Gobustan National Historical-Artistic Preserve.

გობუსტანის ისტორიულ-არქეოლოგიურ ნაკრძალში, კლდეზე გამოსახულია ორი ადამიანი, რომელთაც ხელები ერთმანეთისკენ აქვთ გაწვდილი.





A view of excavation activities along the Baku-Tbilisi-Ceyhan (BTC) pipeline in Georgia.

საქართველო, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის (BTC) მახლობლად მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების ხედი






The Sultanahmet Mosque (also known as the Blue Mosque) in Istanbul was commissioned by Sultan Ahmet I and completed during the early 17th century AD.

სულთან აჰმედის მეფეთის (ცნობილია, როგორც ლურჯი მეჩეთი) მშენებლობა სტამბულში სულთან აჰმედ I-ის მმართველობის დროს დაიწყო და XVII საუკუნეში დასრულდა.

An artisan crafting beautiful traditional metal wares in Azerbaijan.

აზერბაიჯანელი ხელოსანი ამზადებს
ლითონის ტრადიციულ ნივთებს.





An Azerbaijani woman baking flatbread (chorek) in a wood-fired tandir.

აზერბაიჯანელი ქალი აცხობს პურს თინდში.





The famous defensive walls and Maiden's Tower of Ichari Shahar (Baku's "inner city") were constructed in the 12th century AD.

ძველი ბაქოს დამცვეი გაღაფანი და სახელგანთქმული „ქაღალულის კოშკი“ XII საუკუნეშია აგებული.





Tbilisi, a city of roughly one and a half million people, is the capital and largest city of Georgia, gracing the banks of the Mtkvari (Kura) River in the eastern part of the country.

თბილისი, დაახლოებით მილიონნახევრიანი ქალაქი, საქართველოს დედაქალაქია და მდებარეობს ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. მტკვრის ნაპირებზე.





Magnificently spanning the Bosphorus Strait, the First Bosphorus Bridge in Istanbul connects Orakoy (in Europe) and Beylerbeyi (in Asia). Completed in 1973, the bridge embodies Turkey's historic role linking Europe and Asia.

ბოსფორის სრუტეზე გაღებული პირველი ხიდი, რომელიც სტამბულის ორ ნაწილს – ევროპულსა (ორაკი) და აზიურს (ბეილერბეი) აერთებს, 1973 წელს აშენდა და თურქეთის - ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი სახელმწიფოს ისტორიულ როლს უსვამს ხაზს.

- BTC Route
- SCP Route




BLACK SEA

TURKEY

Erzurum

Ceyhan

MEDITERRANEAN SEA



A map of the Baku-Tbilisi-Ceyhan (BTC) and South Caucasus (SCP) pipelines, from the Caspian to the Mediterranean.

ბაკო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) და სამხრეთ კავკასიის მილსადენების (SCP) რუკა კასპიიდან სმელთაშუაზღვისპირეთამდე.

CHAPTER 1

From the Caspian to the Mediterranean

The Purpose of This Project

The Caucasus and Anatolia, including the present-day nations of Azerbaijan, Georgia, and Turkey, are home to some of the world's most ancient cultures. Throughout the region, prehistoric and historic cultures left a vast wealth of archaeological treasures that fascinate archaeologists and historians. In Azerbaijan, the majestic rock faces of Gobustan that project high above the shore of the Caspian Sea form the “canvas” on which hundreds of generations of artists inscribed their ancient rock art, beginning perhaps 20,000 years ago.

თავი 1

კასპიიდან სმელთაშუაზღვისპირეთამდე

პროექტის მიზანი

სამხრეთი კავკასია და ანატოლია მოიცავს დღევანდელ აზერბაიჯანს, საქართველოსა და თურქეთს. რეგიონი მსოფლიოს უძველესი კულტურების ერთ-ერთი სამშობლოა. აქ აღმოჩენილმა პრეისტორიულმა და ისტორიულმა კულტურებმა უდიდესი არქეოლოგიური საგანძური დატოვა, რაც არქეოლოგებისა და ისტორიკოსების დიდ დაინტერესებას იწვევს. აზერბაიჯანში, გობუსთანის კლდეებზე, რომელიც კასპიის ზღვას გადაჰყურებს, დაახლოებით 20000 წლის წინანდელი ნაკვების, ცხოველებისა და ადამიანების გამოსახულებებია.



Images of boats, animals, and people from Azerbaijan's ancient past can be found among the rock art. The earliest traces of humankind's prehistory in this ancient land were found at Dmanisi, Georgia, where the remains of humanity's 1.8 million-year-old ancestors were discovered. In Turkey, an intriguing repository of pottery at Ziyaretsuyu that can be traced to the 2nd century BC raises absorbing questions about travelers and settlers in the region.


For thousands of years, silk, gold, ivory, spices, and perfumes were transported across trade routes through the region that connected East Asia, Africa, the Middle East, and Europe. The peoples of the region are justly proud that today its historic status as a crossroad of trade and culture is being revived. This revival is partly a result of national independence since the dissolution of the Soviet Union and partly due to the relatively recent discovery of new large Caspian Basin hydrocarbon reserves. The construction of the massive pipelines system that carries both crude oil and natural gas through Azerbaijan, Georgia, and Turkey to world markets spurred an unparalleled period of archaeological research in the region, which led to extraordinary finds along the pipelines route from the Caspian to the Mediterranean, and generated knowledge about the history and cultures of the region. In this and in many less tangible ways, the pipelines are a new gateway to the region's past, and open a promising window to its future.

ისინი აზერბაიჯანის წარსულს წარმოგვიდგენს. ადამიანის პრეისტორიული წარსულის უაღრესი ნიმუშია საქართველოში, დმანისში, 1,8 მილიონი წლის კომინდების ნაშთები. თურქეთში, ზიარეთსუიუს ძვ.წ. II საუკუნით დათარიღებული თიხის ჭურჭლის საცავი ამ პერიოდის მოსახლეობისა და მოგზაურების შესახებ გვიამბობს.

ათასწლეულების განმავლობაში ამ მხარეზე გადიოდა შუა აზიის, ახლო აღმოსავლეთის, აფრიკისა და ევროპის დამაკავშირებელი სავაჭრო გზები, რომლებითაც აბრეშუმში, ოქრო და ნელსაცხებლები გადაქონდათ. საბჭოთა კავშირის დაშლის, საქართველოსა და აზერბაიჯანის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებისა და კასპიის ზღვაში ნავთობის დიდი მარაგის აღმოჩენის შემდეგ რეგიონმა სავაჭრო გზაჯვარედინის ფუნქცია ხელახლა შეიძინა. ნავთობისა და გაზის მილსადენების მშენებლობასთან, რომელიც რეგიონის ქვეყნებს: აზერბაიჯანს, საქართველოსა და თურქეთს მსოფლიო ბაზართან აკავშირებს. მილსადენების მშენებლობასთანავეა დაკავშირებული უპრეცედენტო მასშტაბის არქეოლოგიური გათხრები, რამაც უაღრესად საინტერესო მასალა მოგვცა ისტორიული და კულტურული სურათის შესავსებად. ამრიგად, მილსადენების მშენებლობამ წარსული უფრო ხელშესახები, მომავალი კი საიმედო გახადა.

The city of Baku, the capital of Azerbaijan, overlooks the Caspian Sea. Today, Baku is a thriving metropolis of over two million people. It is the financial center of Azerbaijan, as well as the nucleus of the country's artistic, musical, and theatrical activities.

აზერბაიჯანის დედაქალაქი ბაქო კასპიის ზღვას გადაკურებს. ეს ორმილიონიანი, აკვავებული ქალაქი ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული ცენტრია.



წარმოდგენილია საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვარგარეთის მხარეებში.



The Azerbaijan Government House is an imposing structure. After formally declaring independence from the Soviet Union in 1991, Azerbaijan's first elected Parliament officially adopted a constitution in 1995.

აზერბაიჯანის მთავრობის სასახლე დიდი შენობაა. 1991 წელს აქ გამოცხადდა აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა, პირველმა პარლამენტმა კი ქვეყნის კონსტიტუცია 1995 წელს მიიღო.

To highlight the rich cultural heritage of the region, this book presents findings of a collaborative research initiative among archaeologists in Azerbaijan, Georgia, and Turkey and their colleagues from the Smithsonian Institution's Asian Cultural History Program, Office of Policy and Analysis, and Office of the Chief Information Officer. The recovery, collection management, and interpretation of the archaeological data presented here were financed by BP and its coventurers in the Caspian projects as part of their efforts to protect the cultural resources uncovered during the construction of the Baku-Tbilisi-Ceyhan (BTC) crude oil and adjacent South Caucasus (SCP) natural gas pipelines. The archaeological surveys of the pipeline route began in 2000, before construction commenced. The construction, which began in 2003, was accompanied by teams of Azerbaijani, Georgian, Turkish, British, and American archaeologists who traveled the entire length of the pipelines, a journey that contributed to the story of known archaeological sites in addition to discovering hundreds of previously unknown and unexcavated sites.

წარმოდგენილ წიგნში თავმოყრილი მასალა წარმოაჩენს რეგიონის მდიდარ კულტურულ მემკვიდრეობას, რომელიც ქართველმა, აზერბაიჯანელმა და თურქმა არქეოლოგებმა აღმოაჩინეს. აქვე ასევე შესაძლებელია გავეცნოთ ამ ქვეყნების წარმომადგენლების თანამშრომლობა სპითსონის ინსტიტუტის აზიის კულტურის ისტორიის განყოფილებასთან, პოლიტიკისა და ანალიზის განყოფილებასა და მთავარ საინფორმაციო სამსახურთან. რესტავრაცია, კოლექციების მართვა და მოპოვებული არქეოლოგიური მასალის ინტერპრეტაცია BP-ისა და მისი პარტნიორების მიერ დაფინანსდა, რათა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და სამხრეთ კავკასიის გაზსადენის მშენებლობისას აღმოჩენილი კულტურული მემკვიდრეობის ნაშთები კარგად ყოფილიყო დაცული. მილსადენის მარშრუტის შესწავლა 2000 წელს დაიწყო, სამშენებლო სამუშაოები კი - 2003 წელს. ამ პროცესში თავიდანვე იყვნენ ჩაბმულნი აზერბაიჯანელი, ქართველი, თურქი, ბრიტანელი და ამერიკელი არქეოლოგები. ისინი მშენებლობის პარალელურად მუშაობდნენ და მათ მილსადენების გასწვრივ გათხარეს არამარტო უკვე ცნობილი ძეგლები, არამედ აქამდე უცნობი ასობით არქეოლოგიური ძეგლი აღმოაჩინეს და შეისწავლეს.

The Ateshgah "Fire Worshipers" Temple near Baku has its origins among Zoroastrians. A continuous flame on the site was once fed by natural gas deposits.

ცეცხლთაყვანისმცემლების ტაძარი ათეშგა, რომელიც ბაქოს მახლობლადაა, ზოროასტრიზმის მიმდევართა სალოცავი იყო. "მარადიული ცეცხლი", რომელიც ამ სალოცავზე იყო დანთებული, გაზის საბადოდან იკვებებოდა.





The salamuri, a Georgian reed instrument made of apricot wood, is often played at festivals by boys wearing traditional costumes.

საქართველოში გამართულ სახალხო დღესასწაულებზე ხშირად ნახავთ ეროვნულ სამოსში გამოწყობილ ემაწვილებს, რომლებიც საღამურზე უკრავენ.

The tomb sanctuary of King Antiochus I at Mount Nemrud was built on a mountaintop in what is now southeastern Turkey in 62 BC. Antiochus I forged an alliance with Rome during the war between Rome and the Parthians.

სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში, მთა ნემრუდზე, ძვ.წ. 62 წელს აღმართეს კომაგენეს მეფე ანტიოქოს I-ის სამლოცველო. რომელებმა იგი აიძულეს მათი მოკავშირე გამხდარიყო და პართიელების წინააღმდეგ ებრძოლა.





The Smithsonian team continues its international collaborative research efforts in this area. Partners in the region include Azerbaijan’s Institute of Archaeology and Ethnography, Gobustan National Historical-Artistic Preserve and the Georgian National Museum. The Gobustan Preserve, located about 40 miles southwest of Azerbaijan’s capital city of Baku, was declared a UNESCO World Heritage Site in 2007.

This book and its associated website (www.agt.si.edu) are examples of the public education and museum capacity-building efforts associated with this project. BP’s support parallels its commitment to increasing awareness of biodiversity and protecting natural habitats, including initiatives that have mobilized tangible environmental changes throughout the region.

სმიტსონის ინსტიტუტის გუნდი, რომელიც მოიცავს აზიის კულტურის ისტორიის პროგრამას, პოლიტიკისა და ანალიზისა და მთავარ საინფორმაციო სამსახურებს, აგრძელებს რეგიონის კვლევას და თანამშრომლობს გობუსთანის არქეოლოგიურ ნაკრძალთან, აზერბაიჯანის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტსა და საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან. გობუსთანის ნაკრძალი, რომელიც ბაქოდან სამოციოდე კილომეტრითაა დაშორებული, 2007 წლიდან იუნესკოს მიერ მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლადაა გამოცხადებული.

ეს წიგნი და მასთან დაკავშირებული ვებსაიტი (www.agt.si.edu) სამშენებლო პროექტის მიმდინარეობისას განხორციელებული საზოგადოებრივი განათლებისა და სამუზეუმო შესაძლებლობათა განვითარების სამუშაოების კარგი მაგალითია. და მისი პარტნიორები ხელს უწყობენ ბიომრავალფეროვნებისა და გარემოს დაცვის თვითშეგნების ამადლების მიზნით ნაკისრი ვალდებულებების განხორციელებას, მათ შორის რეგიონში ბუნებრივ გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების შერბილების ინიციატივებს.

A baker in Georgia uses a modern-day tandir-shaped oven to bake bread. The dough is pressed against the walls of the oven to bake.

საქართველოში პურის გამოსაცხობად დღევანდელი საბაზები თონეს იყენებენ. ცომი თონეს კედელს ეკვრება და ისე ცხებება.

Rock art panels at the Gobustan National Historical-Artistic Preserve date from as early as the Paleolithic period.

გობუსთანის ეროვნულ ისტორიულ-არქეოლოგიურ ნაკრძალში დაცული კლდის მხატვრობა პალეოლითის ხანით თარიღდება.



Petroglyphs of a hunter and a possible shaman are a part of the legacy of the early past discovered at the Gobustan National Historical-Artistic Preserve.

გობუსთანის ეროვნულ ისტორიულ-არქეოლოგიურ ნაკრძალში დაცული პეტროგლიფები, რომლებზეც მონადირე და შამანია გამოსახული, კულტურული მემკვიდრეობის ნაწილია.

Rock art panels at the Gobustan National Historical-Artistic Preserve often contain a variety of elegant figures, sometimes superimposed over each other.

გობუსთანის ეროვნულ ისტორიულ-არქეოლოგიურ ნაკრძალში დაცულ კლდის მხატვრობაზე არაერთი ფიგურაა გამოისახული. ზოგიერთი ნახატი სხვადასხვა დროსაა შექმნილი და ერთმანეთზე დადებული.





The Pipelines

During Stages 1 and 2 of the project from 2000 to 2003, potentially important archaeological sites were identified through field walks and aerial photography. This view from the Tsalka district in central Georgia shows the type of surface clearing that preceded excavations.

პირველი და მეორე ეტაპის განმავლობაში, 2000-2003 წლებში დაზვერვითი სამუშაოებისა და აეროფოტოგრაფირების საშუალებით გამოვლინდა პოტენციური არქეოლოგიური ძეგლები. ეს ფოტო წაღვის რაიონში (სამხრეთი საქართველო) ნიადაგის აღების პროცესის შემდგომ მდგომარეობას ასახავს.

The pipeline route — which runs through widely divergent climatic, geological, and geographic regions that have long been populated by numerous peoples — was not selected for its potential to facilitate archaeological excavations or spur the discovery of new cultural heritage in previously unexplored regions. Rather, it resulted from the practical considerations of bringing a vast new supply of crude oil and natural gas from the Caspian Sea to world markets in a way that both avoids the ecological risks posed by huge tankers passing through the Bosphorus Strait and provides the newly independent post-Soviet states of the Caucasus control over the export of Azerbaijan’s most valuable commodity. The pipelines construction has, nonetheless, given the region and the world a rare opportunity to increase our understanding of the past.

მილსადენები

მილსადენების მარშრუტი სხვადასხვა ხალხით დასახლებულსა და ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ კლიმატურ, გეოგრაფიულსა და გეოლოგიურ და რეგიონებზე გადის. ეს მარშრუტი ადრე შეუსწავლელ რეგიონებში არქეოლოგიური გათხრების ან კულტურული მემკვიდრეობის ახალი ძეგლების აღმოჩენის ხელშეწყობის მიზნით არ შერჩეულა. მისი მიზანი იყო კასპიის ზღვის საბადოების ნედლი ნავთობისა და ბუნებრივი აირის მსოფლიო ბაზრებზე გატანა, რაც მაქსიმალურად შეამცირებდა როგორც ბოსფორის სრუტეში უზარმაზარი ტანკერების მოძრაობის შედეგად გამოწვეულ ეკოლოგიურ საფრთხეებს, ასევე გაზრდიდა კავკასიის პოსტსაბჭოთა სივრცეში ახლადშექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოების კონტროლს ზერბაიჯანის ამ უძვირფასესი ნედლეულის ექსპორტზე. ამავე დროს, მილსადენების მშენებლობამ რეგიონსა და მსოფლიოს წარსულის უკეთესად შესწავლის იშვიათი შესაძლებლობა მისცა.

The BTC pipeline starts at the Sangachal Terminal on the Caspian Sea in Azerbaijan, passes through the territory of Georgia, and ends at the Ceyhan Terminal on the Turkish coast of the Mediterranean, from which “Azeri light” crude oil of the Azeri-Chirag-Deep Water Guneshli field is delivered to international markets. The length of the BTC pipeline is 1,768 kilometers (1,099 miles): 443 kilometers (275 miles) in Azerbaijan, 249 kilometers (155 miles) in Georgia, and 1,076 kilometers (669 miles) in Turkey. Its diameter varies from 1.07 to 1.17 meters (42 to 46 inches), and it is currently transporting close to one million barrels of oil per day, with plans to increase capacity to handle additional volume.

The SCP transports natural gas from the Shah Deniz field on the Caspian Sea to Turkey. It follows the route of the BTC pipeline through Azerbaijan and Georgia into Turkey, where it connects with the Turkish gas distribution system. The total length of this pipeline is 691 kilometers (429 miles), divided between Azerbaijan and Georgia in the same proportions as the BTC pipeline, and measures 1.07 meters (42 inches) in diameter.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი (BTC), აზერბაიჯანში კასპიის ზღვის ტერმინალ სანგახალში იწყება, გაივლის საქართველოს ტერიტორიას და თურქეთის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, ჯეიჰანის ტერმინალთან მთავრდება, საიდანაც ნედლი ნავთობი საერთაშორისო ბაზრებს მიეწოდება.

მილსადენის სიგრძე 1,768 კილომეტრია; აქედან 443 კმ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გადის, 249 კმ საქართველოს ტერიტორიაზე და 1,076 კმ კი-თურქეთისაზე. მილის დიამეტრი 1,07 მეტრიდან 1,17 მეტრამდე მერყეობს და ყოველდღე მასში თითქმის 1 მილიონი ბარელი ნავთობი გაედისნება სამომავლოდ უფრო დიდი ოდენობით ნავთობის გატანაც იგეგმება.

სამხრეთკავკასიური მილსადენის (SCP) საშუალებით კასპიის ზღვის შაჰდენიზის საბადოდან ბუნებრივი აირი თურქეთში გააქვთ. საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე იგი BTC-ის პარალელურად მიუყვება, ხოლო თურქეთში - თურქულ გაზგამანაწილებელ სისტემას უერთდება. ამ მილსადენის სიგრძე 691 კილომეტრია და BTC მილსადენის ანალოგიური პროპორციითაა გაყოფილი აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის. მისი დიამეტრიც 1,07 მეტრია.

In addition to initial archaeological surveys, the impacts that the pipeline project would have on local communities such as this village located on the Kodiana Pass in Georgia, were examined. Preventive measures were taken so as not to permanently disrupt the lives of villagers.

წინასწარული არქეოლოგიური დაზვერვების გარდა, შესწავლილ იქნა ის შესაძლო ზემოქმედებები, რაც მილსადენის პროექტს ადგილობრივ მოსახლეობაზე, მაგ., საქართველოში, კოდინის უღელტეხილზე მდებარე ამ სოფელზე შეეძლო მოეხდინა. ამის აღსაკვეთად მიიღეს პრევენციული ზომები.



The AGT Pipelines Archaeology Program

The AGT (Azerbaijan, Georgia and Turkey) Pipelines Archaeology Program represents one of the most significant commitments to cultural heritage ever made by an international pipeline project. It was initiated as a result of the requirements of the international financial community that financed the pipelines, guidelines of the host countries, and BP's internal standards for environmental and cultural protection. The project will continue over the next several years through the implementation of archaeological and ecological projects in the three host countries.

მილსადენების არქეოლოგიური პროგრამა

საერთაშორისო ნავთობკორპორაციებმა AGT-ის მილსადენის არქეოლოგიური პროგრამის ფარგლებში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი ვალდებულებები აიღეს. ამ იდეის ინიციატორები ის საერთაშორისო ფინანსური ჯგუფები იყო, რომლებიც მშენებლობას აფინანსებდნენ და მასპინძელი ქვეყნებისა და BP-ისათვის ქმნიდნენ გარემოსდაცვით და კულტურული მემკვიდრეობის სტანდარტებს. პროექტი სამივე ქვეყანაში კიდევ რამდენიმე წელს გასტანს და მის ფარგლებში მუშაობა ეკოლოგიური და არქეოლოგიური მიმართულებითაც გაგრძელდება.

Excavation leader Dr. Goderdzi Narimanishvili and Cultural Heritage Monitor Nino Erkomaishvili discuss their strategy at the Saphar Kharaba site in Georgia.

ექსპედიციის ხელმძღვანელი გოდერძი ნარიმანიშვილი და კულტურული მემკვიდრეობის მონიტორი ნინო ერკომაიშვილი განიხილავენ საფარ ხარაბას სამაროვანზე ჩასატარებელი სამუშაოს.





In western Azerbaijan, a group of side booms travel along the pipeline corridor.

დასავლეთი ზერბაიჯანი. მიმე ტექნიკა მილსადენების დედუგანში.



An archaeologist from Azerbaijan's Institute of Archaeology and Ethnography records one of the earliest kurgans (burial sites) in the region at an excavation site near the village of Soyubulaq.

აზერბაიჯანის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგი აფიქსირებს უძველეს ყორღანს სოფ. სოიუბულაქთან.

Site Locations, Excavation, and Analysis

In coordination with national cultural heritage authorities, a staged program of archaeological research and excavation was developed in each of the host countries along the pipelines. The four initial stages occurred before and during the pipeline construction. Over the course of the first four stages, dozens of archaeological sites were found and sampled.

- Baseline surveys, staffed in part with local experts, comprised Stage 1. The results of these surveys led to alteration of the proposed pipeline route, as part of an overall strategy to work around areas of environmental and cultural sensitivity.
- Stage 2 began once the route was determined and the financial lenders approved it. This stage involved testing selected sites through limited excavations to identify cultural heritage resources of sufficient significance to warrant avoidance or mitigation initiatives, such as restricting construction areas or using protective measures such as fencing.
- Stage 3, which also began before the AGT pipeline construction began, involved a first round of excavations. They were planned well in advance with BP's national partner organizations so as to have clear research designs and protocols in place to maximize the data collected. Several methods of record keeping were employed during this stage, including drawings, photographs, and written documentation.

ძეგლების მდებარეობა, გათხრები და ანალიზი

მასპინძელი ქვეყნების კულტურული მემკვიდრეობის სამსახურებთან ერთად BP-მ და მისმა პარტნიორებმა ეტაპობრივი პროგრამა შეიმუშავეს. ის მოიცავდა, როგორც მშენებლობის წინა, ისე მისი მიმდინარეობისას მიღსადენების არეალში აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლების კვლევისა და გათხრების გეგმას. იგი ოთხ სამუშაო ეტაპად იყო დაყოფილი. მისი განხორციელებისას მრავალი ათეული არქეოლოგიური ძეგლი გამოვლინდა.

- საბაზო კვლევებმა, რომლებიც ადგილობრივმა ექსპერტებმა ჩატარეს, გამოკვეთა პირველი ეტაპის ამოცანები. შედეგებმა ცხადყო, რომ დაგეგმილ მარშრუტში გარკვეული ცვლილებების შეტანა იყო აუცილებელი, რათა გარემოსა და კულტურის ძეგლებს საფრთხე არ შექმნოდა.
- მე-2 ეტაპი მარშრუტის საბოლოოდ დადგენისა და დამფინანსებლების მიერ მისი დამტკიცების შემდეგ დაიწყო. იგი მოიცავდა შერჩეულ უბნებზე მცირე მასშტაბის დაზვერვითი გათხრების ჩატარებას, რათა დადასტურებულიყო მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების არსებობა და, ამავდროულად, განსაზღვრულიყო სამშენებლო ტერიტორიების შეზღუდვისა და დაცვის ზომები.
- მე-3 ეტაპი, რომელიც ასევე სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე ჩატარდა, მოიცავდა პირველად გათხრებს. ეს გათხრები კომპანიამ ადგილობრივ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად დაგეგმა, რათა მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით შეიმუშავებულიყო მომავალი გათხრების რეალური გეგმა. ამ ეტაპზე გამოყენებულ იქნა დაფიქსირების სხვადასხვა მეთოდი, კერძოდ: ჩანახატები, ფოტოსურათები და წერილობითი წყაროები.



This frieze in the Old City in Baku captures images from the rock art in the Gobustan National Historical-Artistic Preserve.

ძველ ბაკოში დაცული ეს ფრისი
გობუსთანის ეროვნული ნაკრძალიდანაა.





The pipeline construction activities.
მილსადენის მშენებლობა.



- Stage 4 involved excavations of new sites found during the actual construction process. A vital task was the development of policy and procedures for dealing with previously unknown archaeological sites found after construction commenced. These “late finds,” generally consisting of scatterings of artifacts, also yielded unique and important discoveries. In many cases, BP, in consultation with national regulatory bodies, developed measures to avoid or abate damage to these late finds. Mitigation usually involved restricting impacts through the use of narrower construction zones combined with archaeological excavation.

- მე-4 ეტაპი ითვალისწინებდა თვით სამშენებლო პროცესის დროს აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლების გათხრას. უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო ამ უცნობი ძეგლების მიმართ სწორი სტრატეგიისა და მეთოდის შემუშავება. ეს “გვიანი აღმოჩენები” მნიშვნელოვან მონაპოვრად შეიძლება ჩაითვალოს. უმეტეს შემთხვევებში, კომპანიის კულტურული მემკვიდრეობის სამსახური ისეთ ღონისძიებებს მიმართავდა, რომლის შედეგად ძეგლის დაზიანება მინიმუმამდე იქნებოდა დაყვანილი. ამისთვის კი სამშენებლო ზონის არეალი მცირებოდა და მშენებლობის პარალელურად, არქეოლოგიური გათხრები ტარდებოდა.

A Muslim tombstone in Azerbaijan has been standing since the middle ages.

ეს მუსლიმური საფლავის ქვა აზერბაიჯანში შუა საუკუნეებისაა.



Mud flows from volcanoes in Azerbaijan dating back to ancient times indicate geothermal activity in the Caspian region.

ევლკანური ღაღის გაქვავებული ნაკადი შორეულ წარსულში აზერბაიჯანის ტერიტორიასა და კასპიის ზღვის სანაპიროზე გეოთერმულ აქტივობაზე მიუთითებს.



Upon completion of the excavation efforts, archaeological teams in the three countries turned their attention to Stage 5, which entailed the preparation of technical reports and monographs pertaining to the excavations. “Capacity-building” studies (described in more detail in Chapter 4) focused on the treatment and preservation of artifacts recovered during the project. This work was followed by the preparation of general public outreach materials, including this book, museum exhibits and a website that chronicles aspects of the archaeological project itself, as well as the lives and cultures of the ancient inhabitants of the region who created the artifacts. This stage will continue on, expanding what is known of the region’s history: The pipeline project’s exploration, interpretation, and stewardship is not yet finished, just as the region’s human story continues to unfold.

გათხრობის სამუშაოების დამთავრების შემდეგ სამივე ქვეყნის არქეოლოგიურმა ჯგუფებმა მთელი ყურადღება მე-5 ეტაპზე გაამახვილეს, მომზადებულიყო ტექნიკური ანგარიშები და მონოგრაფიები და დადგენილიყო არტეფაქტების შენახვის პირობები. ამ სამუშაოს მოწყვებოდა მოპოვებული მასალის საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანა. ამისათვის კი უნდა შექმნილიყო სპეციალური ვებგვერდი და მოწყობილიყო როგორც სასამართლო, ასევე მოძრავი გამოფენები, სადაც აისახებოდა არქეოლოგიური პროექტის სხვადასხვა ასპექტი და ასევე ამ არტეფაქტების შემქმნელი უძველესი მოსახლეობის სულიერი და მატერიალური კულტურა. ეს ეტაპი ამჟამად გრძელდება და ემსახურება რეგიონის ისტორიის შესწავლას.

The Davit Gareji Monastery in East Georgia was founded in the 6th century by Saint Davit (David), who once lived in a cave at this location. The complex grew over the centuries following his death and remains in use today.

დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი წმ. დავით გარეჯელმა აღმოსავლეთ საქართველოში VI საუკუნეში დაარსა. იგი ამ ადგილას ერთ-ერთ გამოქვაბულში ცხოვრობდა. ეს კომპლექსი მისი გარდაცვალების შემდეგ ფართოვდებოდა და დღესაც მოქმედი მონასტერია.





The Turkish site Ziyaretsuyu, as seen from atop a nearby hill. When archaeologically significant sites such as this one were discovered, the pipeline route was diverted to minimize impacts on the sites.

თურქული არქეოლოგიური ძეგლის, ზიარეტსუის ხედი ახლომდებარე შიიდან. ასეთი მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლის აღმოჩენისას კომპანია ცდილობდა მილსადენის მარშრუტი შეეცვალა, რათა ძეგლს საფრთხე არ დამუქრებოდა.



This statue in the heart of Baku commemorates Nizami Gyanjavi the great epic poet.

ბაქოს ცენტრში მდებარე ეს ძეგლი დიდი პოეტის, ნიზამი განჯელის საპატივცემოდაა აღმართული.





A portion of the 12th century AD citadel wall surrounding the storied Ichari Shahar, or "Inner City," is preserved within Baku, Azerbaijan's capital. UNESCO listed the Ichari Shahar as a World Heritage site in 2000.

აზერბაიჯანის თანამედროვე დედაქალაქში, ბაკოში დღემდე შემორჩენილია XII საუკუნის გალავანი, რომელიც გარს ერტყმის ძველ ქალაქს („იჩარი შაჰარს“). იუნესკომ იგი 2000 წელს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად აღიარა.





The inspiring Jvari Church sits atop a ridge overlooking Mtskheta, the ancient capital of Georgia; the remains of the timeworn town are dated earlier than 1000 BC.

ჯვრის მონასტერი, რომელიც მაღალ გორაზე დგას, საქართველოს ძველ დედაქალაქს, მცხეთას გადაჰყურებს.





The lavish Topkapi Palace complex in Istanbul, Turkey, was the primary residence of Ottoman sultans from 1465 until the mid-19th century.

1465 წლიდან XIX საუკუნის შუახანებამდე თოფკაფის მდიდრული სასახლე სტამბულში ოტომანი სულთნების რეზიდენცია იყო.

CHAPTER 2

Cultural History at the Crossroads

The construction of the BTC and SCP pipelines reinvigorated the region's historic role as a crossroads of world trade.

Archaeological work undertaken as a part of the AGT Pipelines Archaeology Program has contributed greatly to understanding the individual cultures and histories of the host nations, and has documented their long record of interconnectedness over the past four millennia. The recent rebuilding of social and economic relationships in the region is one reoccurrence in this long history of connections.¹

თავი 2

კულტურის ისტორია გზაჯვარედინზე

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და ბაქო-თბილისი-ერზერუმის მილსადენების მშენებლობამ რეგიონს მისი უძველესი, სავაჭრო გზაჯვარედინის ფუნქცია დაუბრუნა. არქეოლოგიურმა სამუშაოებმა, რომლებიც აზერბაიჯანის-საქართველო-თურქეთის მილსადენების არქეოლოგიური პროგრამის ფარგლებში განხორციელდა, მასპინძელი ქვეყნების კულტურისა და ისტორიის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, ამასთან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ეს რეგიონი ბოლო ოთხი ათასწლეულის განმავლობაში დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთგადაკვეთისა და შერწყმის ადგილი იყო. რეგიონში სოციალური და კულტურული კავშირების ბოლოდროინდელი გამოცოცხლება კიდევ ერთხელ მიუთითებს ამ ისტორიულ კავშირებზე.

This chapter presents a brief narrative of each country's cultural history, with selected examples of how the findings from along the pipelines' route have increased knowledge of them. The pipelines corridor covers only a small percentage of the total land area of the three nations, and the findings from the excavations are only a part of the data from which understanding of the past derives. Nonetheless the results of the AGT Pipelines Archaeological Program have expanded what is known about almost every time period in the history of the countries. The following chapter discusses the archaeological sites within each of the countries.

ამ თავში მოკლედ არის გადმოცემული თითოეული ქვეყნის კულტურის ისტორია და შერჩეულ მაგალითებზე დაყრდნობით ნაჩვენები, თუ როგორ შეუწყო ხელი მშენებლობისას აღმოჩენილმა არქეოლოგიურმა მასალამ არსებული ცოდნის გაღრმავებას. მილსადენების დერეფანი სამი ქვეყნის ტერიტორიის მხოლოდ მცირე ნაწილზე გადის და გათხრების შედეგად მოპოვებული მასალაც, რა თქმა უნდა, მხოლოდ მცირედი ნაწილია იმ დიდი მასალისა, რომლებიც ჩვენ წარსულის კვლევაში გვეხმარება. მიუხედავად ამისა, აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის მილსადენების არქეოლოგიურმა პროგრამამ ხელი შეუწყო ამ ქვეყნების ისტორიული წარსულის თითქმის ყველა პერიოდის შესახებ დაგროვილი ცოდნის გაღრმავებას. შემდეგ თავში აღწერილია ამ პროგრამის დროს შესწავლილი არქეოლოგიური ძეგლები.¹

This mosaic, created by the Azerbaijani artist Huseyn Hagverdi, depicts the unifying nature of the pipeline that links Azerbaijan, Georgia and Turkey, including the resultant economic and cultural benefits. Each country is represented by images of historical monuments located in their respective capitals. The mosaic is located at the Caspian Energy Centre at the Sangachal oil and gas terminal, 55km from Baku.

აზერბაიჯანელი მხატვრის, ჰუსეინ ჰაგვერდის მიერ შექმნილი ეს მოზაიკა აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის კულტურისა და ეკონომიკის დამაკავშირებელი მილსადენის მნიშვნელობას ასახავს. თითოეული ქვეყანა წარმოდგენილია მათ დედაქალაქებში დაცული ისტორიული ძეგლებით. მოზაიკა ბაკოდან 55 კმ-ში, სანგაჩალის ტერმინალის ტერიტორიაზეა განთავსებული.



Azerbaijan

by Najaf Museyibli²

Paleolithic/Epipaleolithic Period (2 million years BC – circa 8000 years BC)

Archaeological excavations at Azikh cave in the Garabagh region of Azerbaijan demonstrate that ancient people populated this territory circa 2 million years ago. Discovered within the cave was a mandible fragment belonging to an Azikhantrop human that dates to 350,000-400,000 years ago in addition to one of the world's oldest discoveries: the remains of a fireplace dating to 700,000 years ago. The Middle Paleolithic Period, dating to approximately 150,000 years ago to 35,000-40,000 years ago, was the era of the Neanderthals. Rich artifact finds that were discovered in Azikh cave and neighboring Taghlar cave reflect the daily lifestyles and technological progresses (such as stone tool development) fostered by Middle Paleolithic people. Modern humans continually developed new technologies as they expanded geographically. Presently, modern human origin scholarship focuses on cave and shelter sites.

The Upper (Late) Paleolithic Period in the Caucasian and Anatolia regions commenced circa 35,000-40,000 years ago and progressed until the 14th millennium BC. This was followed by the Mesolithic-Epipaleolithic Period, which spanned from the 13th through the 8th millenniums BC. Technology continued to improve in the form of more complicated stone tools and the creation of some of the first examples of fine art. The germs of later forms of production developed during the Mesolithic Period.³

აზერბაიჯანი

(ავტორი ნაჯაფ მუსეიბლი²)

პალეოლითი და ეპიპალეოლითი (2 მილიონი – ძვ.წ. 8000)

აზერბაიჯანში, აზიხის გამოქვაბულში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა გამოავლინა, რომ ეს მხარე 2 მილიონი წლის წინათ იყო დასახლებული. გამოქვაბულში აღმოჩენილი ქვედა ყბის ძვალი აზიხანტროპს მიეკუთვნება, რომელიც 350,000-400,000 წლის წინანდელი დროით თარიღდება. აქვეა 700 000 წლით დათარიღებული, მსოფლიოში ერთ ერთი უადრესი კერა. შუა პალეოლითი (150,000-40,000/35,000 წწ) ნეანდერტალელი ადამიანის არსებობის პერიოდია. აზიხისა და მის მეზობლად მდებარე თაღლარის გამოქვაბულებში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ინფორმაცია მოგვაწოდა იმდროინდელი ადამიანის ცხოვრების წესისა და ქვის იარაღის ტექნოლოგიური განვითარების შესახებ. ამჟამად, თანამედროვე მეცნიერება ადამიანის წარმოშობის შესახებ მიმართულია მღვიმეებისა და ღია სადგომების შესწავლისაკენ.

ზედა პალეოლითი კავკასიასა და ანატოლიაში 35,000-40,000 წლის წინათ დაიწყო და ძვ.წ. XIV ათასწლეულამდე გაგრძელდა. მას მოსდევს მეზოლითი (XIII-VIII ათასწლეულები). დაიხვეწა ქვის იარაღი და განვითარდა ხელოვნებაც.³

Upper Paleolithic and Mesolithic period-related sites have been discovered in the Caucasus, such as that located on the Gobustan Reserve in Azerbaijan. Most notably, Gobustan features rock art inscriptions that reflect the lifestyle of Upper Paleolithic and Mesolithic people in addition to buried archaeological material. Gobustan became especially important to Azerbaijan's own history when archaeologists discovered Mesolithic burials. Anthropological analysis has shown that the skull traits of humans found in these burials are linked to today's Azerbaijani population.⁴

Neolithic Period (ca. 7000 – 4500 BC), Eneolithic/Chalcolithic Period (ca. 4500 – 3500 BC), and Early Bronze Age (ca. 3500 – 2200 BC)

The transition from the hunting-and-gathering societies of the Paleolithic Era to farming-based communities—a shift commonly known as the Neolithic Revolution—culminated in the Neolithic Age. One hallmark of the Neolithic Revolution was the development of farming and cattle-breeding strategies based on sedentary societies. A new cultural pattern developed in the Kura basin of western Azerbaijan and southeastern Georgia known as the Shumatapa culture. Examples of this culture were found during excavations in the AGT pipelines corridor.

The emergence of early copper metallurgy alongside traditional stone tools marked the subsequent period, known as the Eneolithic or Chalcolithic Age. During this age, much of western Asia saw the expansion of isolated villages into regional trade systems, a hallmark of incipient civilizations.

ზედა პალეოლითისა და მეზოლითური ხანის ძეგლები კავკასიაშიცაა აღმოჩენილი: მაგალითად, აზერბაიჯანში, გობუსთანში. აღსანიშნავია გობუსთანის გამოსახულებები, რომლებიც არქეოლოგიურ მასალასთან ერთად იმდროინდელი ადამიანების ყოფაზე მოგვითხრობს. გობუსთანში არქეოლოგებმა მეზოლითურ სამარხებს მიაკვლიეს. ანთროპოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა, რომ მიცვალებულების თავის ქალები აზერბაიჯანის დღევანდელ მოსახლეობას უკავშირდება.⁴

ნეოლითი (ძვ.წ. 7000 – 4500წწ.), ენეოლითი (ძვ.წ. 4500 – 3500წწ) და ადრე ბრინჯაოს ხანა (ძვ.წ. 3500 – 2200წწ)

პალეოლითური სამონადირეო-შემგროვებლური მეურნეობა თანდათანობით სამიწათმოქმედო-მესაქონლე, მწარმოებლურმა მეურნეობამ შეცვალა, რაც ნეოლითური რევოლუციის სახელითაა ცნობილი. დასავლეთ აზერბაიჯანსა და აღმოსავლეთ საქართველოში ამ დროისათვის შულავერ-შომუთეფეს ადრესამიწათმოქმედო კულტურა ჩამოყალიბდა. მილსადენების არეალის არქეოლოგიური შესწავლისას რამდენიმე ძეგლი აღმოჩნდა, რომლებიც ამ კულტურას მიეკუთვნება.

ქვის იარაღის წარმოებასთან ერთად ენეოლითურ ხანაში ადამიანმა სპილენძის დამუშავება დაიწყო. ამ დროისათვის დასავლეთ აზიაში დაიწყო მცირე, იზოლირებული დასახლებების გაფართოება და მათი რეგიონალურ სავაჭრო სისტემაში ჩართვა, რაც ცივილიზაციის წარმოშობას მოასწავებდა. ამ ისტორიულ პერიოდს ენეოლითს ან ქალკოლითის პერიოდს უწოდებენ. XX საუკუნის 80-იან წლებში, აზერბაიჯანში, ლეილათეფეზე ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ენეოლითური ხანის ახალი მონაცემები გამოამხეურა.



This petroglyph from the Gobustan National Historical-Artistic Preserve depicts several human figures, and possibly a representation of a boat.

ეს პეტროგლიფი გობუსთანის ხელოვნებისა და ისტორიის ეროვნული ნაკრძალიდან წარმოგვიდგენს რამდენიმე ადამიანისა და ნაუის გამოსახულებას.

Archaeological excavations in the early 1980s at the old Leylatapa residential area in the Garadagh region of Azerbaijan revealed novel traces of the Eneolithic Period. It was later discovered that the architectural findings (ironware, infant graves in clay pots, earthenware prepared using potter's wheel and other features) significantly differ from the archaeological complexes of the same period in the South Caucasus. From these findings, a new archaeological culture (the Leylatapa) was discovered. Research indicates that this culture was genetically connected with the Ubeid and Uruk cultures, which were archaeological complexes in Northern Mesopotamia that date to the first half of the 4th millennium BC. It has been determined that the Leylatapa residential area was built by ancient tribes migrating from the Northern Mesopotamia to the South Caucasus during the Eneolithic Period.

In western Azerbaijan, a number of Leylatapa-related archaeological sites were uncovered within the BTC and SCP pipelines corridor, which created tremendous opportunities for critical scientific research concerned with archaeology in the Caucasus. Relevant sites include the Boyuk Kasik (438km), Poylu II (408.8km), Agildara (358km) settlement sites and the Soyubqulaq burial mounds (432km). These monuments are critical for the investigation of ethnic, economic and cultural relationships within the Caucasus and Middle East, which has resulted in scientists from Europe, Russia and Georgia all showing immense interest in these sites. For example, a relationship between the North Caucasian Maykop sites and those of Mesopotamia was suspected by the scientific community for many years, however it wasn't until archaeological excavations were conducted at the above-mentioned sites that a link was confirmed.

აღმოჩნდა, რომ არქიტექტურული დეტალები, ლითონის წარმოება, ბავშვთა სამარხები და კერამიკული მორგვის გამოყენება ამ ძეგლს მნიშვნელოვნად განასხვავებდა სამხრეთ კავკასიის თანადროული ძეგლებისაგან. ამ აღმოჩენამ საფუძველი დაუდო ლეილათეფეს კულტურის შესწავლას. ლეილათეფეს კულტურა უკავშირდება ჩრდილო მესოპოტამიურ უბეიდისა და ურუქის კულტურებს, რომლებიც ძვ.წ. IV ათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდება. ირკვევა, რომ ენეოლითის ხანაში, ლეილათეფეზე მესოპოტამიიდან სამხრეთ კავკასიაში წამოსული ტომები დასახლებულან.

დასავლეთ აზერბაიჯანში ენერგოდერეფნის მშენებლობისას ლეილათეფეს კულტურის არაერთი საინტერესო ძეგლი გამოავლინა, რამაც კავკასიის არქეოლოგიის საკითხების კრიტიკულად გააზრებას შეუწყო ხელი (ბუიუქ ქაშიქის, ფოილო II-სა და აგილიდარას ნამოსახლარები, სოიუქბულაქის სამარხები). მათი მონაცემები ახალ მასალას გვაწვდის კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ეთნიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების შესახებ და ევროპელი, რუსი და ქართველი სპეციალისტების დაინტერესებას იწვევს. მაიკოპის კულტურისა და მესოპოტამიური ძეგლების სავარაუდო ურთიერთდამოკიდებულების შესახებ აზრები ადრეც გამოთქმულა, მაგრამ აღნიშნული ძეგლების შესწავლამ ეს მოსაზრებები დაადასტურა.


The Kura-Araxes civilization of the Early Bronze Age replaced the Eneolithic Period in the middle of the 4th millennium BC in the southern Caucasus. The main features of this society were the production of bronze, black, and dark gray glazed pots with hemispherical handles, the rapid development of a cattle-breeding economy, and the spread of mound-type graves. The Kura-Araxes culture extended from the South Caucasus to what is now the Republic of Dagestan to the eastern coast of the Mediterranean Sea. It came to an end in the third quarter of the 3rd millennium BC.

Three kurgan (burial mound) monuments referring to the Kura-Araxes culture have been discovered and excavated in the western side of Shamkirchai river along the pipeline route on 332-333 km in Azerbaijan. Excavation of these kurgans has provided valuable information about the burial traditions, economic and cultural relations of the Early Bronze Age population of the region.

ძვ.წ. IV ათასწლეულის შუა ხანებში სამხრეთ კავკასიის ენეოლითური კულტურა ადრებრინჯაოს მტკვარ-არაქსულმა კულტურამ შეცვალა, რომლისათვის დამახასიათებელია ბრინჯაოს წარმოება, თიხის შავი და რუხი ფერის ნაპრიალები კერამიკა, მესაქონლეობის განვითარება და გორასამარხების გაფრცვლვა. იგი ვრცელდებოდა დაღესტნიდან და სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთი ნაწილიდან ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპირომდე. მისი დასასრული ძვ.წ. III ათასწლეულის მესამე მეოთხედში ივარაუდება.

აზერბაიჯანში, მდ. შამქირჩაის დასავლეთ ნაპირზე, მილსადენის გასწვრივ სამი მტკვარ-არაქსული ყორღანი გაითხარა. მათმა შესწავლამ მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოგვაწოდა რეგიონის ადრებრინჯაოს ხანის მოსახლეობაზე.





Smaller finds from Boyuk Kasik in Azerbaijan include the clay human and animal figurines shown above.

ბუიუქ ქაშიქის არქეოლოგიური მონაპოვარში გვხვდება თიხის ანთროპომორფული და ზოომორფული ფიგურები.

**Middle Bronze Age (ca. 2200 – 1500 BC),
Late Bronze Age and Early Iron Age. (ca.
1500 – 500 BC)**

During the Middle Bronze Age, an early urban culture appeared in Azerbaijan marked by glazed pottery. Similar urban residential areas were discovered and excavated in the Nakhchivan and Garabagh regions. Also during this period the Uzarliktapa and Tazakand archaeological cultures were wide spread throughout Azerbaijan. It was also a time when local populations strengthened their economic and cultural ties with Middle Eastern civilizations. Several graves were found in Ganja-Gazakh region before the construction of the pipelines, specifically graves were discovered at the Babadervish site in the Gazakh region and near the Garajamirli village in the Shamkir region. The most extensive archaeological excavations conducted along the pipelines route were those settlements that date to the Late Bronze and Early Iron Ages. A sample of sites that are located in the Ganja-Gazakh region, Garabagh region, southeastern Georgia and area northeast of present-day Armenia are associated with the Khojali-Gadabay culture dating to the second half of the 2nd millennium and beginning of the 1st millennium BC. The Borsunlu burial mound (272km) in the Goranboy region, the Zayamchai necropolis (365km) in the Shamkir region, the Tovuzchai necropolis (378km) in the Tovuz region, and the Hasansu necropolis (398.8km) in the Agstafa region excavated within the pipeline corridor all reflect this culture.


**შუაბრინჯაოს ხანა (ძვ.წ. 2200 – 1500წწ.),
გვიანბრინჯაოს ხანა (ძვ.წ. 1500 – 1200წწ.),
რკინის ხანა (ძვ.წ. 1200 – 500წწ.)**

შუა ბრინჯაოს ხანაში აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ადრეურბანული კულტურა ყალიბდება. ურბანული დასახლებები ყარაბახისა და ნახჭევანის ტერიტორიაზეა შესწავლილი. ამ დროს აზერბაიჯანში უზარტიკოფეფსა და ტაზაკენტის კულტურები იყო გავრცელებული. ადგილობრივ მოსახლეობას ამ დროისათვის გაცხოველებული კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობები ქონდა ახლო აღმოსავლეთის ცივილიზაციებთან. ამ პერიოდის რამდენიმე სამარხი მილსადენის მშენებლობამდეც იყო შესწავლილი ყარაჯამირლისა (ყაზახის რაიონი) და ბაბადერვიშის სამაროვნებზე (შამქორის რაიონი). მილსადენების ტერიტორიაზე ყველაზე მეტი გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის ძეგლი აღმოჩნდა. ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულსა და ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში აზერბაიჯანის განჯა-ყაზახისა და ყარაბახის რაიონებში, აგრეთვე მის მოსაზღვრე ტერიტორიებზე საქართველოსა და სომხეთში გავრცელებული იყო ხოჯალი-გეზადეის კულტურა. ბორსუნლუს ყორღანი გორანბოის რაიონში, ზიამჩაის (შამქორის რაიონი), თოვეუზჩაის (თოვეუზის რაიონი) და ჰასანსუს (აღსტაფის რაიონი) სამაროვნები სწორედ ამ კულტურას მიეკუთვნება.



Rectangular Muslim gravestones with ornaments ascribed to the early medieval times discovered during the construction and archaeological excavations on the south-western part of Icheri Sheher (Old city) in Baku.

ადრე შუახუკუნების, მართკუთხა, ორნამენტირებული მუსლიმური საფლავის ქვები აღმოჩნდა სამშენებლო სამუშაოებისას და არქეოლოგიური გათხრებისას ძველი ბაქის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში.



ძვ.წ. VI საუკუნის შუახანში კოლხეთის სამხრეთით მოსახლე ტომები აქემენიდური ირანის XIX სატრაპიაში შევიდნენ. კოლხეთის განვითარებულმა ეკონომიკამ, ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ და კლიმატმა შავი ზღვის კოლხეთის სანაპიროზე ბერძნულ კოლონიზაციას შეუწყო ხელი. ძვ.წ. VI-V საუკუნეებში ბერძნებმა თავიანთი ახალშენები ფაზისში, გიენოსში, პიტუნტსა და დიოსკურიაში დააარსეს. ამ დროის კოლხეთი უნდა ყოფილიყო ეკონომიკურად და კულტურულად დაწინაურებული ქვეყანა, რომელსაც სახელმწიფოებრიობის ძირითადი ნიშნები – ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა, ცენტრალიზებული მმართველობა (აეტიდების სამეფო დინასტია), ინტენსიური საქალაქო ცხოვრება და საგადასახადო სისტემა ჰქონდა. საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი - ქართლი ნაწილობრივ ემორჩილებოდა აქემენიდურ იმპერიას. აქ მიმდინარეობდა სახელმწიფოს წარმოშობის რთული პროცესი, რომელიც IV საუკუნის დასასრულს ქართლის სამეფოს ჩამოყალიბებით დასრულდა.



This particular object, the head of a bull made of clay mixed with straw, was found in one of the structures of the Ktsia Valley settlement dating from the 6th-4th centuries BC. The bull is believed to have been a holy animal associated with fertility and the moon. Depictions of the bull are found at sites of various periods.

ალიზისგან დამზადებული ხარის თავი ქციის ველის ნამოსახლარის ერთ-ერთ სახლში აღმოჩნდა. ხარი წმინდა ცხოველი იყო, რომელიც მთვარესა და ნაყოფიერებას განასახიერებდა. ხარის გამოსახულებები საქართველოში არაერთ ძეგლზე გვხვდება.

One of the important Early Antique Period sites excavated during the pipeline construction is Ktsia Valley, located in the Borjomi District. The site, which sits on a bank of the Ktsia River at 2,000 meters above sea level, contains older layers dating from the Kura-Araxes culture, as well as the remains of a much larger settlement dating from the 6th-4th centuries BC.

Most of the structures at the site were built of flat stones fixed with clay, with evidence of structures that apparently supported flat roofs. An altar made of clay mixed with straw, and the head of a bull (an animal thought to have had ritual significance and associated with fertility and the moon) made of the same material, were also found. Generally, pottery was wheel-thrown; handmade items were rare. Ornaments were either engraved or embossed. One fragment of a polished red ceramic vessel seems to have been imported. Agricultural activity was somewhat restricted, perhaps because of the elevation, although cattle-breeding was important. Barley and oats (species well-adapted to the local environment) were cultivated. During the final stages of the settlement's existence, it was destroyed by fire several times, possibly as a result of conquests.

Hellenistic Period (ca. 300 BC – 0 AD)

The Hellenistic period is usually said to extend from the accession of Alexander the Great to the throne of Macedonia in 336 BC to the death of Cleopatra VII of Egypt in 30 BC. During the late 4th-early 3rd centuries BC, the eastern Georgian Kartli Kingdom emerged as a powerful force and created a single Georgian civilization. According to written sources from medieval Georgia,

მილსადენების მშენებლობისას აღმოჩნდა და გაითხარა ადრეანტიკური ხანის მნიშვნელოვანი ძეგლი - ქციის ველის ნამოსახლარი. ძეგლი მდებარეობს ბორჯომის რაიონში, სოფ. ტაბაწყურის მახლობლად, ზღვის დონიდან 2000 მეტრის სიმაღლეზე. მისი ქვედა ფენა ადრეპრინჯაოს ხანისაა, ხოლო ზედა ძვ.წ. VI-IV საუკუნეებით თარიღდება.

ნამოსახლარზე აღმოჩენილი ნაგებობების უმეტესობა ბრტყელი ქვებითა და თიხით იყო ნაშენები და ბანური გადახურვა ჰქონდა. ერთ სახლში დადასტურდა ალიზის საკურთხეველი და ხარის თავის (ხარი წმინდა ცხოველი იყო, რომელიც მოვარესა და ნაყოფიერებას განასახიერებდა) ქანდაკება. თიხის ჭურჭელი სამეთუნეო მორგეზე იყო დამზადებული, იშვიათია ხელით დამზადებული ნიმუშები. ორნამენტი რელიეფური ან ამოღარულია. წითელი ფერის, ნაპრიალები ჭურჭლის ერთი ფრაგმენტი, როგორც ჩანს, იმპორტირებულია. მიწათმოქმედება, სიმაღლის გამო შედარებით შეზღუდული იყო და აქ კლიმატის შესაფერი მარცვლეული – ქერი და შერია მოჰყავდათ. მეცხოველეობას წამყვანი როლი ჰქონდა. ნამოსახლარი რამდენჯერმე, სავარაუდოდ, საომარი მოქმედებებისას გადამწვარა.

ელინისტური ხანა (ძვ.წ. IV საუკუნის ბოლო – ძვ.წ. I საუკუნის დასასრული)

ელინისტური ხანა, ზოგიერთი მოსაზრებით, ძვ.წ. 336 წელს ალექსანდრე მაკედონელის ტახტზე ასვლიდან იწყება და ძვ.წ. 31 წელს, ეგვიპტის დედოფალ კლეოპატრა VII-ის გარდაცვალებით, მთავრდება. ძვ.წ. IV-III საუკუნეების მიჯნაზე ქართლის სამეფო მნიშვნელოვან რეგიონალურ ძალად ჩამოყალიბდა და სათავე დაუდო ერთიან ქართულ ცივილიზაციას.

Parnavaz, the representative of the aristocracy in Mtskheta, the ancient capital of Georgia, defeated his rival Azo and declared himself King of Kartli. Parnavaz created a system of military, fiscal, and administrative units, subdividing the country into several counties, called saeristavos, which paid tributes to the king. Parnavaz also established a single national cult around the supreme deity, Armazi, who personified the supreme ruler of the state. During the 3rd century BC, the Kartli (Iberia) Kingdom grew in power and expanded to the west. Incessant warfare characterized the following two centuries, with the kingdom forced to defend itself against numerous invasions. When the close association between Armenia and Pontus (currently located in north Turkey) resulted in an invasion by Pompey in 66-65 BC, King Artax of Kartli was forced to become a subordinate ally of Rome.

Numerous important sites in Georgia dating from this time have been excavated, including cities, temples, and cemeteries. However, until the pipeline project, no settlements had been found in this location. The project conducted the excavation at Skhalta, which included both a settlement and a cemetery. The structures there were quadrangular, built of stone and possibly mud brick. The population mostly engaged in animal husbandry, along with gardening, viticulture, and cultivation of wheat and flax.

Sixty graves were excavated at Skhalta, including square stone tombs and pit burials. There were bones of sacrificial sheep and goats on the surface of the graves, and human remains inside them.

ქართული წერილობითი წყაროების თანახმად, მცხეთელი არისტოკრატიის წარმომადგენელმა ფარნავაზმა ბრძოლაში დაამარცხა თავისი მეტოქე აზო და თავი ქართლის მეფედ გამოაცხადა. მან შექმნა სამხედრო, ფისკალური და ადმინისტრაციული სისტემა. ქვეყანა დაიყო საერისთავოებად, სადაც სამეფო ხარკი იკრიფებოდა. ფარნავაზმა ასევე შექმნა ერთიანი სახელმწიფო რელიგია, რომლის სათავეში მეფესთან გაიგივებული ღვთაება – არმაზი იდგა. ძვ.წ. III საუკუნეში ქვეყანა ძლიერდებოდა და საზღვრებს აფართოებდა. შემდგომი ორი საუკუნე ომიანობის ხანა იყო. ძვ.წ. 66-65 წლებში, პონტოსა (თანამედროვე ჩრდილოეთ თურქეთი) და არმენიის მოკავშირე რომაელმა სარდალმა პომპეუსმა ქართლში გაილაშქრა. მეფე არტაგმა მას წინააღმდეგობა ვერ გაუწია და იგი იძულებული გახდა თავი რომის “მოკავშირედ და მეგობრად” გამოეცხადებინა.

საქართველოში ელინისტური ხანის არაერთი ძეგლია გათხრილი. მიუხედავად ამისა, ქვემო ქართლში კარგად შემონახული ნამოსახლარი არ იყო შესწავლილი. მილსადენების ტერიტორიის არქეოლოგიური შესწავლისას თეთრიწყაროს რაიონში გაითხარა ამ პერიოდის ნასახლარი და სამაროვანი - სხალთა. აქ მიკვლეული შენობები ქვითა და ალიზით იყო ნაგები. დადგინდა, რომ მოსახლეობა ეწეოდა მებაღეობასა და მევენახეობას, აგრეთვე მოჰყავდათ ხორბალი და სელი.

სამაროვანზე 60 სამარხი (ორმოსამარხები და ქვაყუთები) გაითხარა. სამარხების თავზე შეწირული ცხვრებისა და თხების ძვლები აღმოჩნდა.




This well-preserved wooden comb (on the right) from Skhalta, Georgia, is a rare find for a Hellenistic site. Curly locks were the style of both women and men, and combs were created to secure hair accessories made of flowers, myrtle, and ivy, often in the shape of wreaths. The ear cleaner (left) is a rare example of one made from bone; most ear cleaners found from the Hellenistic period were made of bronze.

ეს პატარა, ხის ხეარცხელი (მარჯვნივ) სხალიდან (საქართველო) კარგადაა შემონახული. ასეთი ნივთები ელინისტური ხანის ძეგლებზე ძალზე იშვიათად გვხვდება. ილარი (მარცხნივ) ყურის გასაწმენდად გამოიყენებოდა. იგი ძელისაგანაა დამზადებული, რაც დიდი იშვიათობაა. როგორც წესი, ამ ნივთებს ლითონისგან ამზადებდნენ.



These three tools from Skhalta are made of iron. The battle axe (left) and the spear head (middle) were placed next to the face or arms of deceased male warriors. The rarely found adze (right) was used to shape and trim wood and may have belonged to a woodworker.

სხალტაში აღმოჩენილი იარაღი რკინისაგანაა დამზადებული. საბრძოლო (მარცხნივ) ცული და შუბისპირი (შუაში) მემრეების სამარხებშია აღმოჩენილი, რკინის ეწო (მარჯვნივ) ხის დასამუშავებელი ინსტრუმენტი და, სავარაუდოდ, დურგალს ეკუთვნოდა.



Extraordinary artistic ability and craftsmanship are evident in these fragments of a ceramic lamp found at a site in Kilde, Georgia. It features a relief of Pegasus, the winged horse supposedly sired by Poseidon.

თიხის ჭრეკის ეს ნაგებები საქართველოში, კლდის ნაშთხლარზე აღმოჩენილი და ხელოსნის მადლ ოსტატობაზე მიგვიჩივებს. მასზე შფრინაუი რაში - პეგასია გამოსახული.



This silver coin is believed to have been issued by the Parthian King Gotarzes I, who ruled the Parthian Empire from 95-90 BC. The Empire at its greatest extent included portions of Georgia, as well as most of what is today the Middle East.

საქართველოს ტერიტორიაზე გაერცელებული პართიის მეფე გოტარზეს ვერცხლის დრაქმები (ადმონილია კლდის ნამოსახლარზე) ამ ქვეყნის დიდ გავლენაზე მეტყველებს. პართიის იმპერია შუა აზიისა და ირანის ტერიტორიას მოიცავდა და კავკასიაზეც აერცელებდა თავის გავლენას.



This carnelian stone from a silver ring found at Kide, Georgia, depicts three standing figures wearing long chitons or mantles folded at the waist with ribbons. The figure on the right might be Demeter, goddess of the seasons, while the central figure might be Nemesis, the spirit of divine retribution.


კლდის ნამოსახლარზე ნაპოვნი ვერცხლის ბეჭდის ხარდონის ინტალიოზე გამოსახულია ფეხზე მდგომი, გრძელ ქიტონებში გამოწყობილი სამი ფიგურა. მარჯვენა გამოსახულება წელიწადის დროების დეოაბა დემეტრა უნდა იყოს, ცენტრში კი - დეოაბერივი შურისძიების სული ნემეზიდა.

Kartli (Iberian) Kingdom to the Late Classical Period (ca. 0 – 400 AD)

In the first century AD the Kartli (Iberia) Kingdom was under the cultural influence of Rome and the Parthian Empires, later replaced by the Sassanian Empire in 226 AD. Evidence of close political and cultural relationships between Rome and Kartli are well represented on a noteworthy stone inscription discovered at Mtskheta, which notes that the Roman Emperor Vespasian supported Mithridates, “the friend of the Caesars” and king “of the Roman-loving Iberians,” in reconstructing the fortification of Mtskheta in 75 AD. During this period, a trade road running from India to Greece crossed the territory of Kartli. Kartli controlled the most important passes of the Central Caucasus, which meant it protected the central Asian domains of Rome from the invasion of aggressive nomadic tribes from the northern Caucasus. Consequently, the Romans profited from a strengthening of Kartli. The importance of the Kartli Kingdom to Rome grew in the 2nd century. During the reign of the Roman Emperor Antoninus Pius in the 2nd quarter of the 2nd century AD, King Pharsman II of Kartli visited Rome, where a statue was erected in his honor.

ქართლის (იბერიის) სამეფო გვიანანტიკურ ხანაში (I – IV საუკუნეები)

ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში ქართლის სამეფო რომისა და პართიის იმპერიების კულტურული გავლენას განიცდიდა. 226 წელს პართიის ნაცვლად თანამედროვე ირანის ტერიტორიაზე სასანური ირანი ჩაენაცვლა. რომისა და ქართლის პოლიტიკურსა და კულტურულ ურთიერთობაზე მეტყველებს მცხეთის მახლობლად აღმოჩენილი, 75 წლით დათარიღებული, წარწერა, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ იმპერატორ ვესპასიანეს თავისი “მეგობრისათვის”, ქართლის რომაელთმოყვარე მეფე მითრიდატესათვის მცხეთის გალავანი განუახლებია. ამ დროისათვის ინდოეთიდან საბერძნეთისაკენ მიმავალი გზა ქართლის ტერიტორიას კვეთდა. ქართლს ეპყრა კავკასიის მნიშვნელოვანი უღელტეხილები და ჩრდილო კავკასიის მომთაბარე ტომების მოძრაობის გაკონტროლება შეეძლო. შესაბამისად, რომი დაინტერესებული იყო ქართლთან კარგი ურთიერთობებით, რაც მისი აზიური სამფლობელოების ჩრდილოეთიდან დაცვას ნიშნავდა. მეორე საუკუნეში ქართლი კიდევ უფრო ანგარიშგასაწევი ძალა გახდა. II საუკუნის მეორე მეოთხედში ქართლის მეფე ფარსმანი იმპერატორ ანტონინუს პიუსის მიწვევით რომს ესტუმრა, რის აღსანიშნავად მარსის ველზე მისი ქანდაკება დაიდგა.



During the following two centuries, the new Persian Empire led by the Sassanid dynasty made control over the South Caucasus a main objective of its expansion. Kartli stood firmly with Rome and opposed the Persian Empire. An impressive expression of its Roman orientation was the declaration of Christianity as the state religion. During the 1st century AD, the Apostle Saint Andrew brought Christianity into Georgia, a small part of the population adopted it. Finally, in 326 AD, during the reign of King Mirian, a Cappadocian woman, Saint Nino converted Kartli to that religion. Many scholars argue that the Georgian alphabet was created in the 4th or 5th century AD to make religious scripture more accessible to Georgians. The oldest examples of Georgian writing are from two 5th century AD inscriptions, one found in a church in Bethlehem, and the second in the church of Bolnisi Sioni, currently in the southern part of Georgia. Although Georgian historical tradition attributed the invention of the Georgian alphabet to Parnavaz I of Kartli in the 3rd century BC, there is no clear evidence of it prior to these inscriptions from the 5th century AD. ⁶

Early Medieval Period (ca. 400 – 1000 AD)

Georgia's medieval culture was greatly influenced by eastern Christianity and the Georgian Orthodox Apostolic Church, which promoted and often sponsored the creation of many works of religious devotion. During the 5th century AD, Peter the Iberian (or Peter of Iberia), a Georgian Orthodox saint and prominent figure in early Christianity, founded Bethlehem, the first Georgian monastery outside Georgia. During this period, Sassanian kings conquered the neighboring countries and appointed a viceroy in Kartli who promoted the teachings of Zoroaster. However, efforts to convert the common Georgian people were generally unsuccessful.

მესამე საუკუნის ოციან წლებში წარმოშობილმა ახალმა ირანულმა სახელმწიფომ - სასანიურმა იმპერიამ თავისი ექსპანსიის ერთ-ერთ სამიზნედ კავკასია შეარჩია. შემდგომი ორი საუკუნის განმავლობაში ქართლი ძირითადად რომაულ ორიენტაციას ინარჩუნებდა, რის მაგალითად 326 წელს, მეფე მირიანის ზეობისას, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებაც კმარა. ქრისტიანობა საქართველოში ჯერ კიდევ I საუკუნეში შემოვიდა, როდესაც ანდრია პირველწოდებულმა აქაური მოსახლეობის ნაწილის მოქცევა შეძლო. კაპადოკიელი ქალწულის, წმინდა ნინოს ქადაგებას კი მირიან მეფის გაქრისტიანებაც მოჰყვა. მეცნიერების აზრით, ქართული ანბანი IV-V საუკუნეებში შეიქმნა. მისი უძველესი ნიმუშები ცნობილია V საუკუნის ძეგლებიდან – ბეთლემიდან და ბოლნისის სიონიდან. ⁶ მიუხედავად იმისა, რომ ქართული ისტორიული წყაროები ქართული დამწერლობის შემოღებას ძვ.წ. III საუკუნის მეფეს, ფარნავაზ I-ს უკავშირებენ, ჯერ-ჯერობით ამ მოსაზრების დადასტურება არ ხერხდება და V საუკუნეზე ადრეული დამწერლობის ნიმუში არ ჩანს.

ადრე შუასაუკუნეები (V – IX საუკუნეები)

შუა საუკუნეების ქართულ კულტურაზე დიდი გავლენა მოახდინა ქართულმა მართლმადიდებლურმა სამოციქულო ეკლესიამ, რომლის წიაღშიც წარმოიშვა არაერთი რელიგიური და საერო ნაშრომი. V საუკუნეში მოღვაწე წმინდანის, პეტრე იბერიელის მიერ ბეთლემში დააარსებული მონასტერი საქართველოს გარეთ არსებული პირველი ქართული მონასტერი იყო. ამ დროისათვის ირანის სასანიანმა შაჰებმა მეზობელი ქვეყნები დაიპყრეს და ქართლში თავიანთი მოხელე გამოაგზავნეს, რათა მას აქ ცეცხლთაყვანისმცემლობა გაეგრძელებინა. მიუხედავად მათი დიდი სურვილისა, ეს მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა.

The Georgian Alphabets

Ⴀ	ა	a	an	Ⴁ	რ	r	rae
Ⴂ	ბ	b	ban	Ⴃ	ს	s	san
Ⴃ	გ	g	gan	Ⴄ	თ	t'	tar
Ⴄ	დ	d	don	Ⴅ	ვ	wi	wie
Ⴅ	ე	e	en	Ⴆ	ზ	p ^h	p ^h ar
Ⴆ	უ	u	vin	Ⴇ	ყ	k ^h	k ^h an
Ⴇ	ფ	f	zen	Ⴈ	ქ	ɟ	ɟan
Ⴈ	ქ	ej	he	Ⴉ	ც	q'	q'ar
Ⴉ	თ	t ^h	t ^h an	Ⴊ	ძ	š	šin
Ⴊ	ი	i	in	Ⴋ	წ	č	čin
Ⴋ	კ	k'	k'an	Ⴌ	ც	c	can
Ⴌ	ლ	l	las	Ⴍ	ძ	z	zil
Ⴍ	მ	m	man	Ⴎ	წ	c'	c'il
Ⴎ	ნ	n	nar	Ⴏ	ჭ	č'	č'ar
Ⴏ	ი	j	je	Ⴐ	ხ	x	xan
Ⴐ	ო	o	on	Ⴑ	ყ	q ^h	q ^h ar
Ⴑ	პ	p'	p'ar	Ⴒ	ჯ	ž	žan
Ⴒ	ჟ	ž	žan	Ⴓ	ჰ	h	hae
1	2	3	4	1	2	3	4

1. The oldest Georgian alphabet, called Asomtavruli used from the 5th century
2. The present day alphabet called Mkhedruli used from 11th century
3. The phonetic values of the letters
4. The names of the phonetic values

Table showing ancient and modern Georgian alphabets.

ცხრილში წარმოდგენილია ძველი და ახალი ქართული ანბანები.

The Svetitskhoveli ("Living Pillar") Cathedral in Mtskheta, Georgia, was built in the 11th century AD on the site of an earlier church. Legend holds that Jesus's robe was buried at this site.

სვეტიცხოველის საკათედრო ტაძარი მცხეთაში XI საუკუნეში აიგო ადრეული ტაძრის ადგილზე. აქ მაცხოვრის კვართია დაკრძალული.



In the second half of the 5th century AD, King Vakhtang Gorgasali successfully unified the people of the Transcaucasus against the Sassanid dynasty. He is associated with the founding of Tbilisi. In the early 6th century AD, Vakhtang Gorgasali was killed in the struggle against the Persians; by the end of the century Sassanian kings abolished the monarchy in Kartli, making it a Persian province. From the beginning of the 7th century AD, Byzantium predominated in western and eastern Georgia, until the Arabs invaded the Caucasus. Arab invaders reached Kartli in the mid-7th century AD and forced its prince to recognize the Caliph as his suzerain. At the beginning of the 9th century AD, Prince Ashot Bagrationi, the first of a new, local Bagrationi Dynasty, established himself as hereditary Prince of Iberia.⁷

Throughout the Early Medieval Period, Georgian Christian literature and architecture, mainly religious, flourished. Commendable examples of the cultural life of Georgia in this period are the Holy Cross Church in Mtskheta (6th century AD), the monastic complex of Davit Gareji, and the oldest surviving work of Georgian literature, “The Passion of Saint Shushanik” by Jakob Tsurtaveli, written between 476 and 483. In the 9th century AD, a prominent Georgian ecclesiastic, St. Grigol Khanzteli (Gregory of Khandzta) founded numerous monastic communities in Tao-Klarjeti in southwest Georgia. These monasteries and their scriptoria functioned as centers of knowledge for centuries and played an important role in the formation of the Georgian state.

V საუკუნის მეორე ნახევარში ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალი, რომელსაც თბილისის დააარსება მიეწერება, სათავეში ჩაუდგა ტრანსკავკასიურ ანტიირანულ აჯანყებას, რომელმაც სრულიად ქართლი და სომხეთი მოიცვა. VI საუკუნის დასაწყისში ვახტანგ გორგასალი ირანელების წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა. ამავე საუკუნეში სასანიანებმა ქართლის სამეფოს გაუქმება მოახერხეს, იგი სპარსეთის პროვინციად აქციეს და აქ მარზპანი დანიშნეს. VII საუკუნის ოციან წლებში ბიზანტიამ საქართველოს დასავლეთსა და აღმოსავლეთ მხარეებში ნაწილობრივი კონტროლის დაწესება შეძლო, მაგრამ ამავე საუკუნის შუა ხანში კავკასიაში არაბები შემოიჭრნენ და ქართლის ერისმთავარი აიძულეს მათი ქვეშევრდომი გამხდარიყო. IX საუკუნის დასაწყისში აშოტ ბაგრატიონმა სამხრეთ საქართველოში დამოუკიდებელი სამთავრო დააარსა და ბაგრატიონთა სამეფო დინასტიას დაუღო საფუძველი.⁷

ადრე შუა საუკუნეები ქართული ქრისტიანული ლიტერატურისა და ხუროთმოძღვრების არნახული აყვავების პეიოლია. ამ კულტურული ცხოვრების მაგალითია საყოველთაოდ ცნობილი ჯვრის ტაძარი და დავით გარეჯის მონასტერი. ამავე პერიოდს მიეკუთვნება ქართული მწერლობის უძველესი, ჩვენამდე მოღწეული ნაწარმოები, იაკობ ცურტაველის “შუშანიკის წამება”, რომელიც 476-483 წლებს შორის დაიწერა. IX საუკუნეში მოღვაწეობდა დიდი ქართველი სასულიერო მოღვაწე წმინდა გრიგოლ ხანძთელი, რომელმაც საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში - ტაო-კლარჯეთში (ამჟამად თურქეთის ნაწილი) არაერთი მონასტერი დააარსა. საუკუნეების განმავლობაში ამ მონასტრებში იქმნებოდა მნიშვნელოვანი სასულიერო და საერო ლიტერატურა. ამ მონასტრებს საგანმანათლებლო ფუნქციაც ჰქონდათ.

Excavations for the SCP project produced this inscribed cross from the Atskuri winery. Archaeologists believe the inscription stands for Tsminda and Giorgi (Saint George).

აწყურის მარნების გათხრებისას აღმოჩენილ ამ ჯვარზე ამოკვეთილია წარწერა - "წმინდა გიორგი".



Georgia from 1000 to 1300 AD

In the late 10th and early 11th centuries AD, King Bagrat III brought the various principalities of Georgia together to form a united Georgian state. In 1121, near Didgori, King David IV defeated the coalition of Seljuk Turk troops. King David, often referred to as David the Builder, spared no effort to strengthen the country. He reformed the army, regenerated the economy, altered the activities of the church, and strengthened the governmental system. When he died in 1125, he left Georgia as a strong regional power.

საქართველო X – XIII საუკუნეებში

X საუკუნის დასასრულსა და XI საუკუნის დასაწყისში მეფე ბაგრატ მესამემ საქართველოს სამეფო-სამთავროები გააერთიანა. 1121 წელს, მეფე დავით მეოთხემ, რომელიც აღმაშენებლის სახელითაა ცნობილი, დიდგორის მახლობლად სელჯუკთა კოალიციური არმია გაანადგურა. მან სამხედრო და ადმინისტრაციული რეფორმა ჩაატარა, ეკლესიის როლი ჩარჩოებში მოაქცია, გააჯანსაღა ეკონომიკა და განამტკიცა სახელმწიფოებრიობა. გარდაცვალების (1125) შემდეგ კი მან შთამომავლობას ძლიერი საქართველო დაუტოვა.



A partially reconstructed jar or cup recovered from a site near the Chivchavi Gorge in southern Georgia.

ნაწილობრივ აღდგენილი თიხის ჭურჭელი ჭიჭავის ხეობიდან.

The most glorious sovereign of Georgia was Queen Tamar (1184-1213), and in Georgia the period from the 12th-13th centuries AD is known as "The Golden Age." The country's military-political strength relied on a diverse economy. The main centers of trade and handicraft were cities, including Tbilisi, where approximately 100,000 people lived at the beginning of the 13th century. Centers of education, including the celebrated Gelati and Ikalto monasteries, created academies that taught philosophy, astronomy, mathematics, rhetoric, and music. A collection of Georgian historical essays entitled Kartlis Tskhovreba, created in the 12th century, chronicles the lives of authors from the 8th-12th centuries AD and became the authoritative description of the history of Georgia until the time when new essays were added to the original volume. One masterpiece of Georgian medieval literature is the romantic epic by Shota Rustaveli called "Knight in the Panther's Skin." Completed at the end of the 12th century, Rustaveli's poem is imbued with humanistic thoughts and feelings.

Georgia from the 1300 to 1800 AD

Following the invasion of Mongols in the middle of the 13th century AD, the Georgian Kingdom began to disintegrate, coming under the domination of the Mongols by 1240. Although King Giorgi V reunified the kingdom in the 14th century, his success was short-lived. During the subsequent century, the country suffered economic and political decline. In the end of the 14th century and in the beginning of the 15th centuries with ruthless violence, the Tatars of Tamerlane invaded Georgia eight times. In the 1460s the kingdom fractured into several states: the Kingdom of Kartli, the Kingdom of Imereti, Kingdom of Kakheti and the Principality of Samtskhe. In the 16th century Georgia became a battleground between the Ottoman and Safavid Empires. Prey to a succession of invaders at the turn of the

საქართველოს ერთ-ერთ სახელგანთქმულ და გამორჩეულ მეფედ თამარ მეფე (1184-1213 წწ.) ითვლება. XII-XIII საუკუნეები კი საქართველოს ისტორიაში ოქროს ხანადაა ცნობილი. ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკური ძლიერება განვითარებულ ეკონომიკას ეყრდნობოდა, ჰყვავდა ვაჭრობისა ხელოსნობის ცენტრები – ქალაქები, მათ შორის თბილისიც, სადაც XIII საუკუნის დასაწყისისათვის 100000 ადამიანზე მეტი ცხოვრობდა. საგანმანათლებლო ცენტრებში - იყალთოსა და გელათის მონასტრების სახელგანთქმულ აკადემიებში რელიგიის გარდა ისწავლებოდა ფილოსოფია, ასტრონომია, მათემატიკა, რიტორიკა და მუსიკა. XII საუკუნეში შეიქმნა ქართული ისტორიული წყაროების კრებული "ქართლის ცხოვრება", რომელიც მომდევნო ხანებში ახალ-ახალი ნაშრომებით ივსებოდა. ჰუმანისტური იდეებით გამსჭვალული, ქართული ლიტერატურის შედევრი, შოთა რუსთაველის პოემა "ვეფხისტყაოსანი", სწორედ XII საუკუნის დასასრულსაა შექმნილი.

საქართველო XIV – XVII საუკუნეებში

XIII საუკუნის 30-იან წლებში საქართველოში მონღოლები შემოიჭრნენ და ქვეყანა დაიმორჩილეს. მონღოლთა ბატონობას ქვეყნის დაყოფაც მოჰყვა. XIV საუკუნეში გიორგი ბრწყინვალემ მისი ხელახლა გაერთიანება და გაძლიერება მოახერხა, მაგრამ მისი წარმატება ხანმოკლე აღმოჩნდა; ქვეყანა პოლიტიკურადაც და ეკონომიკურადაც დასუსტებული იყო. XIV საუკუნის ბოლოსა და XV საუკუნის დასაწყისში საქართველოში რვაჯერ ილაშქრა თემურ ლენგმა, რომელმაც სასტიკად ააოხრა ქვეყანა. XV საუკუნის 60-იან წლებში საქართველო სამ სამეფოდ (ქართლი, კახეთი და იმერეთი) და ერთ სამთავროდ (სამცხე) დაიშალა, რასაც XVI საუკუნეში ოსმალეთისა და ირანის იმპერიებს შორის საქართველოსათვის ბრძოლა მოჰყვა. XVII საუკუნეში ოსმალეთთან და ირანთან

17th century, the population of Tbilisi fell to no more than 10,000 people. By the 17th century, both eastern and western Georgia had sunk into poverty as the result of the constant warfare, which mainly involved battles for supremacy between the Ottoman and Safavid Empires. Georgian culture likewise suffered in the 15th-17th centuries. Nevertheless, there were distinguished examples of wall paintings, miniatures, embroidery, literature, and scientific discovery. It was against this backdrop that Georgian kings sought an ally in Russia, which annexed the Georgian states in the 19th century.

Wine production and consumption have held an important place in Georgian culture and history for centuries. Written sources and archaeological material confirm that viticulture was an integral part of life during the Classical Period, at which time the god of the vine, Dionysus, was a popular focus of worship. The myth of Dionysus relates that he travelled to strange lands where he taught men the culture of wine. The excavations uncovered jars dating to the 6th millennium BC at Shulaveri in southeastern Georgia, with a residue of wine still present on their inner surfaces. These jars provide some of the earliest evidence of the consumption of wine in ancient societies. Grape pips dating from the 7th-5th millennia BC found at the same site also suggest the very early cultivation of vineyards in ancient Georgia.

The tradition of viticulture continued even during the continuing clashes of armies during this period in Georgia. Wineries were some of the most interesting archaeological sites of the Medieval Period to be excavated along the pipeline route in Georgia. In the vicinity of the village of Atskuri in Samtskhe, where viticulture historically has been a major activity, archaeologists excavated seven wine cellars dating from the 10th-16th centuries AD. Their construction and elements are similar to those found today in Georgian villages.

გაუთავებელი ომიანობის გამო ქართული სამეფო-სამთავროები გაღარიბდა, თბილისის მოსახლეობა კი 10000 ადამიანამდე შემცირდა. ქართულმა კულტურამ ძველი სიმაღლეები ვერ შეინარჩუნა, მაგრამ, მიუხედავად დიდი გაჭირვებისა, მაინც იქმნებოდა გამორჩეული ფრესკები და მინიატურები, იწერებოდა მნიშვნელოვანი მხატვრული და სამეცნიერებო ნაშრომები. ქართველი მეფეები მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალს ერთმორწმუნე რუსეთთან კავშირში ხედავდნენ, მაგრამ XIX საუკუნეში ამ ქვეყანამ ქართული სახელმწიფოები დაიპყრო და გააუქმა მათი დამოუკიდებლობა.

ღვინის წარმოება და მოხმარება საუკუნეების განმავლობაში ქართული კულტურის მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო. არქეოლოგიური მასალისა და წერილობითი წყაროების მიხედვით, აქ მეღვინეობა უძველესი დროიდან იყო განვითარებული. სამხრეთ საქართველოში, შულავერის ნამოსახლარზე, აღმოჩენილი ქვევრები და ყურძნის წიპვები ძვ.წ. VII-VI ათასწლეულებით თარიღდება, რაც აქ კულტურული ჯიშის - ვაზის მოყვანაზე მიგვითითებს. ანტიკური ხანის საქართველოში კი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ღვინის ღვთაება - დიონისეს კულტი იყო.

მეღვინეობის ტრადიციები ხანგრძლივი საომარი მოქმედებების დროსაც არ წყდებოდა. მილსადენების ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრებიდან საყურადღებოა სამცხეში, სოფ. აწყურთან გამოვლენილი შუა საუკუნეების მარნები. სამცხეში მევენახეობა კარგად იყო განვითარებული. აქ აღმოჩნდა X-XVI საუკუნეების მარნები, რომელთა მსგავს ნაგებობებს ქართულ სოფლებში დღესაც კი შეხვდებით.

Turkey

Late Bronze Age to Iron Age (ca. 1500 – 400 BC)


Anatolia was known as the “Land of the Hatti” by the Akkadians as early as the third millennium BC, after the Bronze Age people who dominated the region. The Hittites, an Indo-European-speaking people, replace the Hattis as rulers of Anatolia early in the second millennium BC. The Hittites adopted cuneiform writing from Assyrian traders and assumed control of the trading colonies spread throughout Anatolia. At its height, the Hittite Kingdom extended to Syria and Upper Mesopotamia, with its capital at Hattusa.

By the second half of the 13th century BC, the Hittite Kingdom was in decline and being pressured economically and politically by its neighbors. It fought the Egyptians in the Levant under Ramses II, saw the Assyrians defeat its vassal state of Mittani in northern Syria, and faced incursions by the Sea Peoples (a confederacy of seafaring raiders). In 1180 BC the Kingdom collapsed and devolved into a number of neo-Hittite city states, including Tabal in southeast Anatolia and the Mushki Kingdom in Cappadocia (both now part of Turkey), Carchemish (on the frontier between Turkey and Syria), and Kammanu (in south-central Anatolia). The end of the Hittite Kingdom caused established political, military, economic, and social relations to change throughout eastern Anatolia, leading to the political and economic instability of the Early Iron Age.

An Early Iron Age Settlement at Büyükdıç Hill presented difficult conditions for settlers. Agriculture in this mountainous area was difficult due to the high altitude (2,050m), and long distance from the creek valley below. Yet within this context of a hilltop overlooking a key transportation corridor in northeastern Anatolia, a successful settlement appears to have flourished. This intriguing settlement yields insights into what was happening in this period of political unrest.

This grooved clay vessel uncovered at the Büyükdıç site contained iron residue and the two holes in its shoulder. The vessel, an artifact commonly found at Bronze and Iron Age sites in eastern Anatolia, was likely used for heating and creating metal objects.

ბუიუქარდინში აღმოჩენილი თიხის ეს ჭურჭელი რკინის წიდას შეიცავს. მის მხარზე ორი ხერვლია დატოვებული. როგორც ჩანს, იგი ლითონის ნივთების დასამზადებლად გამოიყენებოდა.



თურქეთი

გვიანბრინჯაოდან რკინის ხანამდე (ძვ.წ. 1500 – 400წ.წ.)

ძვ.წ. III ათასწლეულში ანატოლია რეგიონში უძლიერესი ხალხის - აქადელებისათვის, ხათის ქვეყანად იყო ცნობილი. ინდოევროპელი ხეთები მეორე ათასწლეულის დასაწყისიდან ჩაენაცვლნენ ხათებს და თავიანთი ძალაუფლება ანატოლიაზე გაავრცელეს. ხეთებმა ლურსმული დამწერლობა ასურელი ვაჭრებისგან გადაიღეს და კონტროლი დააწესეს ანატოლიის სავაჭრო ქალაქებზე. ძლიერების ზენიტში მყოფი ხეთების სამეფო სირიასა და ზედა მესოპოტამიამდე ვრცელდებოდა, მათი დედაქალაქი კი ხათუსა იყო.

ძვ.წ. XIII საუკუნის მეორე ნახევარში ხეთების სამეფო დასუსტდა და მეზობლებმა შევიწროება დაუწყეს. ლევანტში იგი ებრძოდა რამზეს III-ის ეგვიპტეს, ასურეთმა დაამარცხა თავისი ვასალური ქვეყანა მითანი, მას განუწყვეტლად თავს ესხმოდნენ ე.წ. ზღვის ხალხები. ძვ.წ. 1180 წელს ხეთების სამეფო დაიშალა რამდენიმე ნეოხეთურ ქალაქ-სახელმწიფოდ, თაბალეების (ახლანდელი სამხრეთ-აღმოსავლეთი თურქეთი), მუსხების (ახლანდელი კაპადოკია), ქარხემიშისა (თურქეთისა და სირიის საზღვარზე) და ქამანუს სამეფოებად (სამხრეთი ცენტრალური ანატოლია). ხეთების სამეფოს დაცემამ ანატოლიაში არსებული პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური და სოციალური ცვლილებები გამოიწვია და ადრერკინის ხანის ეკონომიკურ არასტაბილურობას დაუდო საფუძველი.

ბუიუქარდინის მთაზე, სადაც ადრერკინის ხანის დასახლება აღმოჩნდა, საკმაოდ მკაცრი პირობები იყო. დიდი სიმაღლის (ზღვის დონიდან 2050 მეტრი) გამო სოფლის მეურნეობა აქ ვერ განვითარდა. იგი მდებარეობდა მთის მწვერვალზე, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთი ანატოლიის მნიშვნელოვან სატრანსპორტო არტერიას გადმოჰყურებდა, რასაც დასახლების

These classical-era pieces are part of the collection of the Istanbul Archaeology Museum.

ნტიკური ხანის ჰერკლის ეს ნატეხები სტამბულის მუზეუმის კოლექციიდანაა.



These cave dwellings, built into "fairy chimneys" near Goreme in Cappadocia in central Turkey, appear to have been occupied in the Late Bronze Age, around the time of the Hittite Empire.

კლდეში ნაკვეთი ეს საცხოვრისები, რომლებიც ცენტრალურ თურქეთში, კაპადოკიაში, გორემეს მახლობლად, მდებარეობს, გვიანბრინჯაოს ხანაში, - ხეთების იმპერიის დროს იყო დასახლებული.




Colak Abdi Pasha, the bey of the then-Bayazit Province, constructed the Ishak Pasha Palace during the late 17th century AD. The location is now known as Agri Province, Turkey, not far from Mount Ararat (Ağrı Dağı).

ბაიზეთის პროვინციის ბეი, აბდილ ფაშამ ისაკ ფაშას სახელზე XVII საუკუნის დასასრულს ააგო. იგი თანამედროვე თურქეთში, მთის არარატის მახლობლად მდებარეობს.







The Library of Celsus at Ephesus, Turkey, was completed in 135 AD.

ცელსუსის ბიბლიოთეკის მშენებლობა ეფესოში (თურქეთი) 135 წელს დათავრდა

Even though this region was a great crossroads for trade and culture, in some historic periods those relationships declined very significantly, and there was a pronounced shift in focus to self-sufficiency in preference to trade. Büyükardıç Hill would have been strategically significant to any ambitious King because it was situated at the center of crucial east-west trading routes that extended from the Araxes and Karasu valleys of the Caucasus, connecting Persia to Eastern Anatolia. Passing through this territory, given its high altitude would have only been possible from spring to autumn, as snowpacks blocked winter travel.

As the forces holding the region together (primarily the power of the Hittite Empire) collapsed, as major trade and population centers were abandoned or ruined in warfare, and as the movement of goods and people became a perilous undertaking, self-sufficient settlements like Büyükardıç emerged in easily defended mountainous areas. Evidence of this change were uncovered in Büyükardıç: the discovery of a possible Early Iron Age metal working shop suggests that an attempt at a measure of self-sufficiency, and the ceramics found at the site appear to be mainly of local origin. The settlement's location on a hilltop and the discovery of several metal arrow points also suggest its occupants were very concerned with defense, even though the site itself was unfortified. Yet despite Büyükardıç's residents apparent desire for self-sufficiency, the turbulent political climate of the region forced smaller communities to occasionally form alliances in order to survive threats.


განვითარებისათვის უნდა შეეწყო ხელი. არქეოლოგიური ძეგლი პოლიტიკური არასტაბილურობის პერიოდის შესახებ გვაწვდის ინფორმაციას.

კულტურების გზაჯვარედინსა და ვაჭრობის განვითარებისათვის ხელსაყრელი მდებარეობის მიუხედავად, ზოგ პერიოდში სავაჭრო ურთიერთობები ძალიან მცირდებოდა და საზოგადოება თვითკმარ ცხოვრებაზე გადადიოდა. ბუიუქარდიჩი მნიშვნელოვანი იყო თითოეული ამბიციური მეფისათვის, რადგან იგი განთავსებული იყო აღმოსავლეთ-დასავლეთის სავაჭრო გზის ცენტრში, რომელიც არაქსისა და ყარასუს ხეობებიდან იწყებოდა და სპარსეთსა და აღმოსავლეთ ანატოლიას ერთმანეთთან აკავშირებდა. ამ გზის გავლა დიდი სიმაღლის გამო ზამთარში შეუძლებელი იყო.

როგორც კი რეგიონის ცენტალური ხელისუფლება (სავარაუდოდ, ხეთების სამეფოსი) მოიშალა, დიდი სავაჭრო დასახლებები დაცარიელდა და ომიანობისას დაინგრა, საქონლის სავაჭროდ გადატანა კი სახიფათო გახდა, ბუიუქარდიჩის მსგავსი თვითკმარი დასახლებები კარგად გამაგრებულ ადგილებზე გაჩნდა. ეს ცვლილება კარგად აისახა ბუიუქარდიჩზეც. ადრეკინის ხანის რკინის სამჭედლოსა და კერამიკული მასალა სწორედ თვითკმარობაზე მიგვანიშნებს. მიუხედავად იმისა, რომ დასახლებას გაღავანი არ ჰქონდა, მთის მწვერვალზე მისი მდებარეობა და საისრე წერტილების არსებობა მიგვანიშნებს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა თავდაცვას ყურადღებით ეკიდებოდა. პოლიტიკურმა სიტუაციამ მცირე თემები აიძულა თავდაცვის მიზნით მოკავშირეები ეძებნათ და უფრო დიდი გაერთიანებები შეექმნათ.

This *riton*, a metal wine vessel uncovered at the site of the Tasmasor Hill excavation in northeastern Turkey, depicts a camel, which highlights the trade connections between the Middle East and Central Asia.

ეს რიტონი (ლითონის ყანწი) ტამასორის მთაზე, ჩრდილო თურქეთშია აღმოჩენილი. მასზე გამოხატული აქლემი, სავარაუდოდ, ახლო აღმოსავლეთსა და შუა აზიას შორის არსებული სავაჭრო ურთიერთობების ამსახველია.



The abundance of coarse, handmade pottery without surface treatment found at Büyükardıç is typical of the Early Iron Age. However the 6,650 potsherds categorized into nineteen distinct ware groups uncovered at this site establishes the diverse range of stylistic and developmental attributes present onsite. Functionally, archaeologists have determined that some Büyükardıç potters used wheel-looms, while others were hand-made. In terms of design, Büyükardıç pottery displays red-slip, burnished, grooved, notched, incised, concentric circular impressions, rosette stamps, and painted decorations. Many of these features share commonalities with vessels found in Northwestern Iran, Georgia, Armenia, and Eastern Thrace. Thus providing further evidence that trade was prevalent at Büyükardıç.

Findings at Büyükardıç represent the transitional period from Late Bronze to Early Iron Age that occurred in Anatolia during the 12th century and was probably built soon after the collapse of the Hittite capital. Most Early Iron Age settlements of the region were fortified and resettled following the collapse. The site is unique in that respect because it was not resettled, and thus provides crucial material evidence that has not been disturbed as drastically as related sites that were resettled.

During the 6th and 5th centuries BC, the Persian Achaemenid Empire had spread outwards with increasing power from its capital at Susa. In the middle of the 1st millennium BC, the Empire came to include all of Anatolia and the southern Caucasus highlands. Sites excavated during the pipelines project at Tetikom and Tasmasar, situated along one of the ancient roads connecting central Anatolia with the highlands to the east and the Araxes River valley, have vastly enriched knowledge of the region under Achaemenid rule during the Late Iron Age.

ბუიუქარდიჩზე აღმოჩენილი ხელით ნაძერწი, ზედაპირდაუმუშავებელი, უხეში კერამიკა ადრერკინის ხანისათვისაა დამახასიათებელი. თიხის ჭურჭლის 6650 ნატეხი, რომელიც 19 ჯგუფად დაიყო, სხვადასხვა სტილურსა და ტექნიკური თავისებურებებით ხასიათდებოდა. გაირკვა, რომ ზოგი მეთუნე კერამიკულ მორგეს იყენებდა, ზოგი კი ჭურჭელს ხელით ამზადებდა. ბუიუქარდიჩის მთაზე აღმოჩენილ კერამიკაში გვხვდება წითლად ნაპრიალები ნიმუშები. ზოგიერთი მოხატული იყო. გვხვდება ნაკაწრი, ამოღარული ორნამენტი, ვარდულიანი შტამპი, კონცენტრული ამოღარული ხაზები. ბევრ ჭურჭელს საერთო აქვს ჩრდილო ირანის, საქართველოს, სომხეთისა და აღმოსავლეთ თრაკიის კერამიკასთან, რაც გარე სამყაროსთან ვაჭრობის დასტურად გამოდგება.

ბუიუქარდიჩის გათხრებისას მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ძეგლს გვიანბრინჯაოდან, ვიდრე ადრერკინის ხანაზე გარდამავალი პერიოდით, ძვ.წ. XII საუკუნით ათარიღებს. ეს დასახლება ხეთების იმპერიის დედაქალაქის დაცემის შემდეგ სწრაფადვე აუგიათ. ადრე რკინის ხანის დასახლებების უმეტესობა გაღავანშემორტყმული იყო და იმპერიის დაცემის შემდეგაა დასახლებული. ძეგლი იმითაა მნიშვნელოვანი, რომ აქ მოპოვებული მასალა საშუალებას იძლევა ადრერკინის ხანაზე გარდამავალი მთელი პერიოდის უწყვეტ ცხოვრებას მისი მეშვეობით გავადევნოთ თვალი.

ძვ.წ. VI-V საუკუნეებში აქემენიდურმა ირანმა, რომლის დედაქალაქი სუზა იყო, თავისი ძალაუფლება კიდევ უფრო განამტკიცა და სამხრეთ კავკასიასა და ანტოლიაშიც გაბატონდა. მილსადენის ტერიტორიის შესწავლისას ტელიკონსა და ტასმასორში აღმოჩენილმა ძეგლებმა, რომლებიც ანატოლიისა და არაქსის ხეობაზე გამავალი უძველესი გზების მახლობლად იყო, რეგიონის აქემენიდების დროინდელი ყოფის შესახებ არსებული ცოდნა მნიშვნელოვნად გაამდიდრა და გააღრმავა.



The front side of this coin, found at Minnetpinari (where remains of a church with a basilica design were uncovered), shows a lightly crowned and draped bust facing right. On the reverse side, a soldier with helmet and armor is standing with his head also facing right. He holds a lance in his right hand and a shield resting on the ground in his left hand.

მინეთინარში, სადაც ბაზილიკური ეკლესიის ნაშთები აღმოჩნდა, ნაპოვნი მონეტის შუბლზე, მარჯვენა პროფილში, გვირგვინიანი ადამიანის პორტრეტი გამოსახული. მონეტის ზურგზე მარჯვნივ მიმართული, მუზარადიანი მეომრის გამოსახულება დატანილი, რომელსაც მარჯვენა ხელში შუბი უჭირავს, მარცხენაში კი – ფარი.

The Hagia Sophia in Istanbul contains examples of the finest mosaic art, including this famous mosaic depicting Jesus Christ.

სტამბულის აია სოფიას ტაძარში ბრწყინვალე მოზაიკური პანოებია დაცული, მათ შორისაა მაცხოვრის საფუკელთაოდ ცნობილი გამოსახულებაც.



Perhaps the longest continuously inhabited site found during the archaeological excavations during this project was Tasmator. Discovered at Tasmator Hill, and located on the Erzurum Plain of Northeastern Turkey, Tasmator was of great geopolitical importance as competing empires vied for dominance in the ancient world. The Erzurum and Pasinler Plains separated by the Kargapazari mountain range form a natural pass just south of Tasmator connecting two important regions of Northeast Anatolia, as well as allowing access from Anatolia into the Caucasus and Iranian steppe. Control of this gateway, known as the Deveboynu pass, was crucial for east-west trade connections in Anatolia, and was one of the few passable routes available for Iron Age empires.

Guided by Assoc. Prof. S. Yücel Şenyurt, the excavation of Tasmator Hill initially uncovered a medieval housing complex dating to the 12th century AD, which contained minimal material remains. In the midst of unearthing this structure, Şenyurt's team chanced upon two pit burials that displayed characteristics common to this region during the Iron Age. Soon after structural foundations made from river stones were found accompanying the previously discovered graves.

Unfortunately the original provenance of artifacts discovered at Tasmator has been lost as the natural stratigraphy of this site was unsettled from continuous reoccupation. This hindered the ability for Şenyurt and his team to accurately cross-reference material found at Tasmator with that of neighboring sites believed to share cultural characteristics.

სამშენებლო პროექტის მიმდინარეობისას შესწავლილი ძეგლთა შორის უწყვეტი და ხანგრძლივი არსებობით ტამასორი გამოირჩევა. იგი მდებარეობს ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში, ერზურუმის ვაკეზე, ტამასორის მთაზე. ერთმანეთთან დაპირისპირებული იმპერიებისათვის მას მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდებარეობა ჰქონდა. ერზურუმისა და ფასინლერის ვაკეებს ჰყოფს ყარაფაზარის ქედი. სწორედ ტამასორის მახლობლადაა დევენბოსის უღელტეხილი, რომელიც ანატოლიის ამ ორ მნიშვნელოვან მხარეს აკავშირებს. ამ გზით ანატოლიიდან შესაძლებელია კავკასიაში და ირანის სტეპებში გადასვლა. კარიბჭის კონტროლი გადამწყვეტი იყო ანატოლიის აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ვაჭრობაში. რკინის ხანაში არსებული მცირერიცხოვანი გადასასვლელიებთან იგი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო და მის დასაუფლებლად იმპერიები იბრძოდნენ.

პროფ. იუსუფ სენურიტის ხელმძღვანელობით ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ტამასორის მთაზე შუა საუკუნეების, კერძოდ XII საუკუნის, საცხოვრებელი კომპლექსი გამოავლინა. იგი მცირე რაოდენობის არქეოლოგიურ მასალას შეიცავდა. ერთი ნაგებობის შესწავლისას რკინის ხანის სამარხები გამოჩნდა, მოგვიანებით კი, ამავე პერიოდის ნაგებობებიც გამოვლინდა.

ტამასორში აღმოჩენილი არტეფაქტები მეტწილად მათი თავდაპირველი ადგილიდან დაძრული იყო. იმის გამო, რომ ტერიტორიის ხანგრძლივი პერიოდის დაუსახლებლობამ სტრატეგრაფიული მონაცემები არ გამოავლინა, ამიტომ სენურიტის გუნდმა მახლობლად არსებული არქეოლოგიური ძეგლების მასალები საფუძვლიანად შეისწავლა.

These Byzantine coins found at Tasmator Hill, located in the historically strategic Erzurum Plain of northeastern Turkey, were likely in circulation until 1070-1080 AD, when the Seljuk Empire assumed political authority of the region. The coins show Jesus Christ with a cross on his head and a nimbus of single-point ornaments on his arms, raising his right hand as if sanctifying, and holding the Bible in his left hand.

ეს ბიზანტიური მონეტები აღმოჩენილია ტამასორის მთაზე, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში, ერზურუმის ვაკეზე მდებარეობს. ამ ადგილს ისტორიულად სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. მონეტები მიმოქცევაში უნდა ყოფილიყო 1070-1080 წლებამდე. მონეტებზე გამოსახულია იესო ქრისტე. მას თავზე შარავანდი ადგას, რომელსაც ჯვრის ორნამენტი ამკობს; მარჯვენა ხელი კურთხევად აქვს აპურებული, ხოლო მარცხენა ხელში ბიბლია უჭურავს.



The Hellenistic Greek, Roman, and Byzantine Periods (ca. 400 BC – 700 AD)

The Hellenistic period that began around the time of Alexander the Great greatly influenced the regions of Anatolia lying along the pipeline corridor. The Battle of Issus—the second of three great battles between the Alexander’s Macedonian army and the Persian Achaemenids—was fought in 333 BC on a plain approximately 30 kilometers from Ceyhan, the terminus of the BTC pipeline. Emperor Darius III personally led the Persian forces at Issus. Although the Macedonians were heavily outnumbered and cut off from their supply lines, they crushed the Persians, forcing Darius to flee. He consolidated his army for the subsequent Battle of Gaugamela, where the Achaemenids experienced their final, crucial defeat.

Within a few years of these triumphs, Alexander was dead, and Macedonian General Seleucus established his own dynasty in the parts of Alexander’s domain he then acquired. The Seleucid Empire lasted for several hundred years and established control over much of the South Caucasus and Eastern Anatolia. It proved to be a fascinating melting pot of leadership from the Macedonian and Greco-Mediterranean worlds, of indigenous cultures, and of political hierarchies inherited from the Achaemenids. The resulting Hellenistic culture combined elements from east (Persian/Achaemenid) and west (Greco/Mediterranean). It was expressed in new forms of art and architecture, an expanding pantheon of gods, and the spread of a culturally distinctive style in ceramics and other crafts. Powerful Mediterranean influences also spread throughout eastern Anatolia and the South Caucasus during the Hellenistic Period. Roman control of the region reinforced economic and social connections there.

ელინისტური, ბერძნული, რომაული და ბიზანტიური პერიოდები (ძვ.წ. 400 – ახ.წ.700წწ.)

ელინისტური ხანა ალექსანდრე მაკედონელის მიერ აზიაზე გავლენის დამყარების დროიდან დაიწყო. 333 წელს იფსუსის ვაკეზე, რომელიც ჯეიჰანიდან 30 კილომეტრითაა დაშორებული, ალექსანდრე მაკედონელისა და აქემენიდური იმპერიის არმიებს შორის ბრძოლა გაიმართა. იმპერატორი დარიოს III თავად ხელმძღვანელობდა სპარსთა ჯარს. მიუხედავად იმისა, რომ მაკედონელები დამხმარე ჯარს მოწვევტილები იყვნენ, მათ სპარსელები გაანადგურეს, დარიოსმა კი გაქცევით უშველა თავს. დარიოსმა კვლავ შეაგროვა ჯარი და მომდევნო ბრძოლა გაგვაშეგლასთან გამართა, რასაც სპარსელთა საბოლოო დამარცხება მოჰყვა.

დიდი გამარჯვებებიდან რამდენიმე წელიწადში ალექსანდრე გარდაიცვალა და მაკედონელმა გენერალმა სელევკოსმა საკუთარი დინასტია დააარსა. სელევკიდების იმპერია რამდენიმე ასწლეულის განმავლობაში არსებობდა და ძალაუფლებას კავკასიის დიდ ნაწილსა და ანატოლიაზე ავრცელებდა. ეს სახელმწიფო მაკედონური, ბერძნულ-მაკედონური და აქემენიდური სამყაროების ტრადიციებს აერთიანებდა, რის შედეგად წარმოშობილი ელინისტური კულტურა აღმოსავლური და დასავლური კულტურების ნაზავს წარმოადგენდა. ეს სიახლე გამოიხატებოდა მხატვრობასა და არქიტექტურაში, ღმერთების მრავალფეროვან პანთეონში, აგრეთვე კერამიკის წარმოებისა და სხვა ხელოვნების განვითარებაში. ელინისტურ ხანაში ხმელთაშუაზღვისპირეთის გავლენა აღმოსავლეთ ანატოლიასა და სამხრეთ კავკასიაზეც გავრცელდა. რომის დაპყრობებმა რეგიონში ეკონომიკურსა და სოციალურ სფეროში ძალთა ახალი გადანაწილება წარმოშვა.

მილსადენების პროექტის მიმდინარეობისას შესწავლილი ორი ძეგლი - იქქერონი და ზიარეთუიუ ელინისტურსა და რომაულ ხანებს

Two Turkish sites researched during the pipelines project, Yuceoren and Ziyaretsuyu, represent the Hellenistic and the Roman Periods respectively. The necropolis of Yuceoren, located near the pipeline terminus at Ceyhan, contains numerous tombs cut into the bedrock, where portions of a sarcophagus and articles used to treat the dead were found. The settlement site of Ziyaretsuyu, near Sivas in northeastern Anatolia, contains the remains of a few domestic structures, painted ceramics and amphorae (large storage vessels), and a terracotta figurine that provides a fine example of classical traits. (Both sites are discussed in greater detail in the next chapter.)

During the 3rd century AD, the Roman Empire began to encounter a range of challenges that led to its decline. These challenges included economic decline, invasions by “barbarians,” and a general decay of the social fabric that had been a major source of the Empire’s appeal to its inhabitants. By the last decades of the century, the leadership in Rome was desperate for a way to maintain control of its sprawling Empire. To this end, Emperor Diocletian divided rule of the Empire’s western and eastern parts between himself and a co-Emperor, Maximian. Less than a decade later, they added two additional, junior Emperors. These four rulers, the Tetrarchy, held court in different parts of the Empire.

After Diocletian’s death in the early 4th century AD, years of conflict erupted as various aspirants vied to rule the Empire. By 312 AD, Constantine emerged as the most powerful, although the conflicts lasted until 324, when he gained complete authority over the Empire.

მიეკუთვნება. იეკერონის სამაროვანი ჯეიჰანის ტერმინალთან ახლოს მდებარეობს. აქ დედაქანში ჩატრილი აკლდამებია აღმოჩენილი. ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში, სივასიის მახლობლად მდებარე ზიარეთუიუს ნამოსახლარზე მიკვლეულია შენობების ნაშთები, მოხატული კერამიკა, ამფორები და ტერაკოტის ფიგურა. მომდევნო თავში ორივე ძეგლი უფრო დეტალურადაა აღწერილი.

